პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 187 (5288) | სამშაბათი, 16 აგვისტო 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

ბოლშევიკურად ვემზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის (მოწინავე)
საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის პლენუმი (1-ლი გვ.)
სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია:
საინფორმაციო ცნობები 1938 წლის 15 აგვისტოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს შეერთებული სხდომის, კავშირის საბჭოს სხდომის და ეროვნებათა საბჭოს სხდომის შესახებ (1-ლი გვ.)
კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 15 აგვისტოს შეერთებულ სხდომის დღიური (1-ლი გვერდი)
კავშირის საბჭოს 1938 წლის 15 აგვისტოს სხდომის დღიური (მე-2 გვ.)
ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 15 აგვისტოს სხდომის დღიური (მე-2 გვ.)
ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 14 აგვისტოს სხდომის დღიური (მე-2 გვ.)
როდის მიაღწევს აფხაზეთი გარდატეხას ჩაის კრეფაში (მე-2 გვ.)
უცხოეთში:
ესპანეთის ხალხის გმირული ბრძოლა ინტერვენტების წინააღმდეგ (მე-4 გვ.)
საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-4 გვ.).

ბოლშევიკურად ვემზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება უდიდესი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხია. ამ ამოცანის ბოლშევიკურად შესრულება და სწავლა-აღზრდის საქმის მაღალ დონეზე აყვანა მოითხოვს ამ საკითხისადმი არა მარტო განათლების ორგანოების, არამედ მთელი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღების მაქსიმალურად გამახვილებას.

საბჭოთა სკოლებში ამაღლდა სწავლების ხარისხი, მოწაფეთა მომზადების დონე, განმტკიცდა შეგნებული დისციპლინა, შემცირდა ორწლიანობა, შარშანდელთან შედარებით უკეთესია საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ხარისხი. თბილისის სკოლების მოწაფეთა აბსოლუტური წარმატება საგრძნობ პროცენტს აღწევს, ფრიადოსან მოწაფეთა რიცხვი იზრდება.

ამ წარმატებათა მიუხედავად, ჩვენი სკოლების მუშაობას კვლავ მრავალი არსებითი ნაკლი ახასიათებს. ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან განათლების ორგანოები, სკოლები, მასწავლებლები. რაც მთავარია, აღმოფხვრილი არ არის სკოლის „ძირითადი ნაკლი", რომელზედაც გარკვევით მიუთითებდა განათლების ორგანოებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი: „სწავლება სკოლაში არ იძლევა საკმაო მოცულობის საერთო-საგანმანათლებლო ცოდნას და არადამაკმაყოფილებლად სწყვეტს ტექნიკუმებისა და უმაღლესი სკოლისათვის სავსებით მცოდნე ადამიანთა მომზადების ამოცანას, რომელთაც კარგად ექნებათ შეთვისებული მეცნიერების საფუძვლები (ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, მშობლიური ენა, გეოგრაფია და სხვ.)"

1933 წლის 12 თებერვლის დადგენილებაში სახელმძღვანელოების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიგვითითა, რომ სკოლის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების აუცილებელ და გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს ყველა საგანში სტაბილური სახელმძღვანელოების შექმნა, რითაც უნდა აღმოიფხვრას სახელმძღვანელოთა დაუსრულებელი „დაპროექტების" არსებული „მეთოდი". ყოველივე ეს ავალებს განათლების ორგანოებს და სახელმწიფო გამომცემლობას უზრუნველჰყონ სკოლები სტაბილური სახელმძღვანელოებით ყველა საგანში.

მაგრამ სახელმძღვანელოების გამოცემა სუსტად სწარმოებს. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა გამოვიდეს 67 სხვადასხვა სახელწოდების სახელმძღვანელო. აქედან დღემდე გამოცემულია 37, იკინძება და ყდაში ისმება — 8, იბეჭდება — 5, მზადდება დასაბეჭდად—6, აწყობის, კორექტურისა და რედაქციის პროცესშია —10 და წარმოებას არ გადასცემია მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მიღწეულ იქნას სახელმძღვანელოების დროულად გამოცემა.

განსახკომის საინსპექტორო-მეთოდურმა განყოფილებამ და განსახკომის სისტემაში შემავალმა მეთოდკაბინეტებმა დროულად და სისტემატურად უნდა უზრუნველჰყონ მასწავლებელთათვის მეთოდური დახმარების გაწევის ორგანიზაცია, პროგრამების ანალიზი, მეთოდური ხასიათის წერილების დამუშავება ცალკე დისციპლინებში, მეთოდ-თათბირების მოწყობა და საუკეთესო ნამუშევრების განხილვა-განზოგადება, ცალკეული დისციპლინების მასწავლებელთათვის მუდმივი კონსულტაციის გაწევა და სხვ. ამ მიმართულებით განსახკომში ყველაფერი რიგზე არ არის. ამიტომ საჭიროა ამთავითვე გადამჭრელი ზომების მიღება.

კადრების შერჩევა-განაწილება მოუწესრიგებელია. საქ. განსახკომის ინსტრუქციის მიხედვით რაიონის განათლების განყოფილებებს ჯერ კიდევ გასული სასწავლო წლის დამთავრებამდე უნდა წარმოედგინათ განსახკომში რაიონის მასწავლებელთა ზუსტი აღრიცხვა მათი ცენზის, სპეციალური საგნის, სტაჟის, დატვირთვისა და ადგილსამყოფელის მიხედვით. მაგრამ დანიშნულ ვადაზე ეს მასალები მხოლოდ ერთი რაიონის (წალკის) განათლების განყოფილებას ჰქონდა წარმოდგენილი, რაც საქ. განათლების ყოფილი სახკომისრის უხეირო მუშაობით იყო გამოწვეული.

ამ არანორმალური მდგომარეობის გამოსასწორებლად საქ. განათლების სახალხო კომისარიატმა კონკრეტულად მიუთითა რაიონის განათლების განყოფილებებს, რათა კალენდარული გეგმის მიხედვით წარმოედგინათ მასწავლებელთა ზუსტი აღრიცხვა. აღრიცხვის მასალები საქართველოს თითქმის ყველა რაიონმა წარმოადგინა. კადრების განაწილებაც ძირითადად დამთავრდა. ამ საქმეში ჩამორჩებიან მხოლოდ აფხაზეთის ასსრ განსახკომი და თბილისის საბჭოს განათლების განყოფილება. ამ უკანასკნელს გეგმის მიხედვით კადრების განაწილება უნდა დაემთავრებინა პირველი ივლისისათვის, მაგრამ განათლების განყოფილების გამგის ამხ. ა. გიორგაძის უყურადღებობით ეს საქმე დღესაც არ არის შესრულებული.

საქ. სსრ სახკომსაბჭომ თავის დადგენილებაში გარკვევით მიუთითა რაიაღმასკომის თავმჯდომარეებს — უზრუნველეყოთ ახალი სკოლების მშენებლობა მუშა-ხელით, მაგრამ მთელ რიგ რაიონებში ეს დადგენილება რატომღაც არ სრულდება. მაგალითად, ხაშურის რაიონში ახალი სკოლის მშენებლობაზე ორ ცვლაში მუშაობდა 40 კაცი, ეს მაშინ როდესაც უნდა მუშაობდეს 120 კაცი, ქუთაისში მუშაობს —80 (უნდა მუშაობდეს 120 კაცი), მახარაძეში—60 (უნდა იყოს 80), ჭიათურაში—70 (უნდა იყოს —240) და ზუგდიდში—60 (უნდა იყოს —120).

ცნობილია, რომ საქ. სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით ახალი სკოლების მშენებლობა თბილისში უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს 15 აგვისტოსი, მაგრამ 10 აგვისტოსათვის მშენებლობის პროცესში მყოფ სასკოლო შენობათა ტექნიკური მზადყოფნის პროცენტი ასეთი იყო: საბჭოს ქუჩაზე—87 პროცენტი, სახარატო ქუჩაზე—89 პროც., მარის ქუჩაზე 92 პროც. და ბეგლეცკის ქუჩაზე—80 პროცენტი.

ეს ფაქტები მოწმობენ, რომ რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს კიდევ არ გარდაუქმნიათ მუშაობა. მტკიცედ უნდა დავიხსომოთ ის, რომ „პარტორგანიზაციებმა უნდა დააწესონ ოპერატიული ხელმძღვანელობა სკოლის მიმართ ისევე, როგორც სოციალისტური მშენებლობის სხვა უბნების მიმართ" (ლ. ბერია).

ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში, მოწაფეთა ჯანსაღად და კულტურულად დასვენების შემდეგ კვლავ განახლდება ენერგიული ბრძოლა მოწინავე მეცნიერების საფუძვლების დაუფლებისათვის. იმისათვის, რომ განუხრელად შესრულდეს საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ხელმძღვანელის ამხანაგ ლ. ბერიას მითითება: მოწაფეთა გმირობა და სიმამაცე—ეს არის სწავლა „ფრიადზე". ეს იმას ნიშნავს, რომ გყავდეს 5 მათემატიკაში, 5-გეოგრაფიაში, 5-დედაენაში, 5-ისტორიაში, გყავდეს 5 თვითეულ საგანში.

ამხანაგ ლ. ბერიას ამ შესანიშნავი მოწოდების წარმატებით შესრულება განათლების ორგანოებს, სკოლის დირექტორებს და სკოლის თვითეულ მუშაკს ავალებს ამთავითვე გაშალონ თანმიმდევარი გეგმიანი მუშაობა 1938-39 სასწავლო წლის ყოველმხრივ მომზადებულად შეხვედრისათვის, გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადონ იმ მავნე პრაქტიკას, როცა სკოლები მოუმზადებელი ხვდებოდნენ ახალ სასწავლო წელს, როცა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში დაუსრულებლად სწარმოებდა მასწავლებელთა დანიშვნა-გადაჯგუფება და სხვ.

განათლების ორგანოებმა დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ რათა ბოლშევიკურად ყოველმხრივ მომზადებულნი შეხვდნენ მომავალ სასწავლო წელს.

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის პლენუმი

ა.-წ. 14 აგვისტოს შესდგა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა „ბამბეულის მრეწველობის საწარმოებში პარტიული მუშაობის შესახებ" საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1938 წლის 5 აგვისტოს გამოტანილი დადგენილების რეალიზაციის ღონისძიებათა საკითხი.

პლენუმმა მოისმინა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივნის ამხ. **ნ. ი. დედიკოვის** მოხსენება.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. აბრამოვი —საკ. კ. პ. (ბ) ნოგინის საქალაქო კომიტეტის მდივანი, საველიევი ნოვოტკაცკის ფაბრიკის დირექტორი (სერპუხოვი), სვეშნიკოვი—საკ. კ. პ. (ბ) ორეხოვო-ზუევის საქალაქო კომიტეტის მდივანი, პანევი — ნაროფომინის ფაბრიკის დირექტორი, ხიტროვი—ფრუნზეს სახელობის ფაბრიკის პარტკომის მდივანი, კლიუევი—საკ. კ. პ. (ბ) სერპუხოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ალექსანდროვი — საკ. ალკკ მოსკოვის კომიტეტის მდივანი, ბოლშაკოვი, გლუხოვის კომბინატის დირექტორი, კოშ[illegible] — ორეხოვის კომბინატის დირექტორი, სიმონენკოვა—ბამბეულის მრეწველობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე მოსკოვის ოლქში, მაკაროვი—საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის სამრეწველო განყოფილების გამგე, გოგოლევი—საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა განყოფილების გამგე და მურავიოვი—მოსკოვის ოლქის ბამბეულის მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსი.

სხდომის დასასრულ სიტყვით გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ა. ი. უგაროვი**.

პლენუმმა მიიღო რეზოლუცია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილების რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ.

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 15 აგვისტოს შეერთებული სხდომის შესახებ

გუშინ, 15 აგვისტოს, დღის 11 საათზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მეორე შეერთებული სხდომა.

თავმჯდომარეობს—ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი**.

მოხსენებით სესიის დღის წესრიგის მეორე პუნქტის გამო „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების" პროექტის შესახებ გამოვიდა სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. **ნ. მ. რიჩკოვი**.

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 15 აგვისტოს სხდომის შესახებ

გუშინ, 15 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა ეროვნებათა საბჭოს მეხუთე სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი**.

ეროვნებათა საბჭო ისმენს ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ **პ. ა. ტიურკინის** თანამოხსენებას დღის წესრიგის მეორე პუნქტის გამო — „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების დებულების" პროექტის შესახებ.

საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თანამოხსენების შემდეგ ეროვნებათა საბჭო კამათზე გადადის.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატი **მ. ვ. გორბაჩევი** (სოროკსკის ოლქი, კარელიის ასსრ), რუსეთის სფსრ იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. **ი. ნ. დმიტრიევი**, დეპუტატები — **კ. ნ. ბაჟულინი** (გარმსკის ოლქი, ტაჯიკეთის სსრ), **ვ. პ. ეფრემოვი** (სევასტოპოლის ოლქი, ყირიმის ასსრ), **ა. დ. იონიჩევი** (გეოკ-ტეპინის ოლქი, თურქმენეთის სსრ), რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. **ა. პ. სოლოდილოვი**, დეპუტატი **მ. ს. მანუკიანცი** (ჯერაბერთის ოლქი, მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქი), სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ი. ტ. ნიკიტჩენკო** და დეპუტატი **კ. ა. ბარმაშევი** (სემიპალატინსკის ოლქი, ყაზახეთის სსრ).

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1938 წლის 15 აგვისტოს სხდომის შესახებ

გუშინ, 15 აგვისტოს, დღის 2 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს მეხუთე სხდომა.

თავმჯდომარეობს—კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი **ტ. დ. ლისენკო**.

კავშირის საბჭომ მოისმინა საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წევრის დეპუტატ **ფ. ვ. შაგიმარდანოვის** თანამოხსენება დღის წესრიგის მეორე პუნქტის გამო—„სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების" პროექტის შესახებ.

საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თანამოხსენების შემდეგ კავშირის საბჭო გადადის კამათზე.

კამათში გამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრი ამხ. **ი. ტ. გოლიაკოვი** და დეპუტატი **ზ. ა. ანდრეევა** (ჩებოქსარის ოლქი, ჩუვაშეთის ასსრ).

სსრკ უმაღლესი საბჭოს II სესიის 1938 წლის 15 აგვისტოს სხდომის დღიური

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს შეერთებულ სხდომაზე

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის ამხ. ნ. მ. რიჩკოვის მოხსენება „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების"პროექტის შესახებ

15 აგვისტოს, დღის 11 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მეორე შეერთებული სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი**.

ლოჟებში არიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სახალხო კომისრები.

სხდომის თავმჯდომარე — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ნ. მ. შვერნიკი მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარს ამხ. **ნ. მ. რიჩკოვს**.

— სტალინურ კონსტიტუციას, — ამბობს ამხ. რიჩკოვი, — მართლმსაჯულება და სასამართლო კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო სიმაღლეზე აჰყავს. „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების" პროექტი, რომელიც შემოტანილია განსახილველად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე, გამომდინარეობს საბჭოთა მართლმსაჯულების იმ ამოცანებიდან, რომლებიც დადგენილია კონსტიტუციის მე-9 მუხლით. იგი ითვალისწინებს საბჭოთა სასამართლოს შემდგომ განმტკიცებას.

— მეფის რუსეთში,—განაგრძობს ამხ. რიჩკოვი,—სასამართლოს კლასობრივი ბუნება და მისი მოხელეების მექრთამეობა მოსწრებულად ასახა ხალხმა ანდაზებში. „სადაც სასამართლოა, იქ უსამართლობაც არის" — ასე განსაზღვრავდა ხალხი მეფის სასამართლოს „სამართლიანობასა" და „დამოუკიდებლობას". „ძლიერს ნუ ებრძვი, მდიდართან სასამართლოში საქმეს ნუ დაიჭერ", ამბობდა რუსული ანდაზა, რომელიც მოსწრებულად ასახავდა მეფის [illegible]

გამეფებულია ამჟამად ბურჟუაზიული ქვეყნების სასამართლოებში.

— ამჟამად ფაშისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით გერმანიასა და იტალიაში, — აღნიშნავს ამხ. რიჩკოვი, — სასამართლოები ფაშისტ-გამგებლების მიერ გადაქცეულია მშრომელებთან გასწორების უბრალო საწამებელ ადგილებად. ფაშისტთა სასამართლო სამარცხვინო კომედიაა, უხეში დაცინვაა მართლმსაჯულებისა. ფაშისტურ ქვეყნებში მეფობს ძალადობა და პოლიციური თარეში, რომელიც აშკარად და პირდაპირ სთელავს პიროვნების თავისუფლებასა და ღირსებას.

საბჭოთა სასამართლო მოწოდებულია დაიცვას საბჭოთა ხალხის ბედნიერი, თავისუფალი და საამური ცხოვრება, რომელიც მას მოპოვებული აქვს სასტიკ ბრძოლებში კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით და დიდი სტალინის ბრძნული წინამძღოლობით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე,—ამბობს ამხ. რიჩკოვი,—იუსტიციის სახალხო კომისარიატის მუშაობა მკაცრად და სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული. დეპუტატი ბაგიროვი აღნიშნავდა, რომ იუსტიციის სახალხო კომისარიატი ისე არ მუშაობს, როგორც ამას სტალინური კონსტიტუცია მოითხოვს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატმა ჯერაც ვერ მიაღწია მავნებლობის შედეგების სრულ ლიკვიდაციას, ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა სტალინური კონსტიტუციის მოთხოვნების სრული შესაბამისობით.

ამხ. რიჩკოვი დაწვრილებით ჩერდება სასამართლოს წყობილების დებულების პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს იმ უდიდეს ცვლილებებს, რაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა სასამართლოს წყობილების [illegible] კონსტიტუციის მოთხოვნების ზუსტი შესაბამისობით.

მართლმსაჯულება სსრ კავშირში თავის ამოცანად ისახავს დაიცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან:

ა) სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება, დაწესებული სსრ კავშირის კონსტიტუციით და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით, მეურნეობის სოციალისტური სისტემა და სოციალისტური საკუთრება;

ბ) სსრ კავშირის მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი, საბინაო და სხვა პირადი და ქონებრივი უფლებები და ინტერესები, რომლებიც გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით;

დ) სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოლმეურნეობების, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებები და ინტერესები.

მართლმსაჯულება სსრ კავშირში თავის ამოცანად ისახავს უზრუნველჰყოს საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულება სსრ კავშირის ყველა დაწესებულების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს საბჭოთა სასამართლოს აღმზრდელობითს მუშაობაზე, სასამართლოს, რომელიც, იყენებს რა სისხლის სამართლის სასჯელის ზომებს, არა მარტო სჯის დამნაშავეთ, არამედ აგრეთვე თავის მიზნად ისახავს გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს დამნაშავენი. მთელი თავისი მოქმედებით სასამართლო ზრდის სსრ კავშირის მოქალაქეებს სამშობლოსა და სოციალიზმის საქმის ერთგულების სულისკვეთებით, სოციალისტური კანონიერების სულისკვეთებით, სოციალისტური საკუთრებისადმი ფრთხილად მოპყრობის, [illegible] ქალაქეთა იმ უფლებების სადარაჯოზე, რომლებიც გარანტირებულია სტალინური კონსტიტუციით, ჩვენს ქვეყანაში მარტო სასამართლო როდი სდგას. ამ საპატიო და სასახელო მოვალეობას ღირსეულად ასრულებენ ჩვენი შინსახკომის ორგანოები ერთგული სტალინური სახკომის ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვის ხელმძღვანელობით. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

სსრ კავშირის კონსტიტუციის სრული შესაბამისობით სასამართლოს წყობილების დებულების პროექტი აწესებს სასამართლოების არჩევნობას, მოსამართლეთა დამოუკიდებლობას და მათს დაქვემდებარებას მხოლოდ კანონისათვის, სახალხო მსაჯულთა მონაწილეობას ყველა სასამართლოში, საქმეების აშკარად გარჩევას სასამართლოს სხდომებზე, ბრალდებულის უფლებას დაიცვას თავი და ისარგებლოს დედა-ენით.

ახალი პროექტი უზრუნველჰყოფს კომუნისტური პარტიის პროგრამის მოთხოვნათა შესრულებას იმის შესახებ, რომ მშრომელები უკლებლივ ყველანი იქნან ჩაბმულნი მოსამართლეთა მოვალეობის შესრულებაში. დებულების პროექტის მე-11 მუხლი აწესებს, რომ მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეიძლება იყოს ყველა მოქალაქე, რომელიც საარჩევნო უფლებით სარგებლობს. დებულების პროექტის მე-6 მუხლი კონსტიტუციის შესაბამისად აწესებს, რომ მოსამართლენი დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

მოსამართლეთა განთავისუფლება თანამდებობისაგან და სახალხო მსაჯულთა განთავისუფლება მათი მოვალეობისაგან დაიშვება მხოლოდ-დამხოლოდ ამომრჩევლების მიერ გაწვევით, აგრეთვე სასამართლოს მიერ მათ შესახებ გამოტანილი განაჩენის ძალით. ამას გვეუბნება მე-17 მუხლი.

სსრკ-ის კონსტიტუციის მე-111 მუხლის შესაბამისად, დებულების პროექტი აწესებს პროცესის საჯაროობას საბჭოთა სასამართლოში და უზრუნველჰყოფს ბრალდებულის უფლებას — დაიცვას თავი.

ფაშისტურ ქვეყნებში სასამართლოს საჯაროობის პრინციპი მოსპობილია სხვა ყველა დემოკრატიულ პრინციპთან ერთად. ფაშისტურ იტალიაში სასამართლოს უფლება ენიჭება დახუროს სასამართლოს სხდომის კარი ყოველი საბაბით, თუ ამ საქმეს „შეუძლია, — როგორც ფაშისტური კანონი ამბობს, — გამოიწვიოს საშიში ცნობისმოყვარეობა". ფაშისტურ გერმანიაში სისხლის სამართლის საქმეთა დიდ უმეტესობას იხილავენ არა ჩვეულებრივ სასამართლოში, არამედ ეგრეთწოდებულ განსაკუთრებულ სასამართლოებში, რომლებიც ისეთ პირობებში მოქმედებენ, რომ გარეშე მოქალაქეთათვის სავსებით გამორიცხულია მათს სხდომებზე დასწრების შესაძლებლობა.

სახალხო სასამართლოებს, სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-109 მუხლის თანახმად, ირჩევენ მოქალაქენი საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 3 წლის ვადით. ამგვარად მიღწეულია სახალხო სასამართლოს უმაგალითო დემოკრატიზაცია.

საოკრუგო, საოლქო და სამხარეო სასამართლოებს და ავტონომიური ოლქების სასამართლოებს ირჩევენ მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოები ხუთი წლის ვადით, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს—ამ რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები აგრეთვე ხუთი წლით; სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსა და სპეციალურ სასამართლოებს (სამხედრო ტრიბუნალებს, რკინიგზისა და წყალთა ტრანსპორტის სახაზო სასამართლოებს) ხუთი წლით ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო. მოსამართლის თანამდებობის დაკავებისათვის დღემდე არსებული ზოგიერთი შეზღუდვა უქმდება. სახალხო მსაჯულთა არჩევნები იმავე წესითა და იმავე ვადით ხდება, როგორც მუდმივ მოსამართლეთა არჩევნები. მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც სახალხო მსაჯული მონაწილეობას იღებს სასამართლოში, მას ენახება ხელფასი.

დებულების პროექტი აწესებს, რომ სასამართლოს განაჩენები, გადაწყვეტილებანი და დადგენილებანი, რომლებიც შესულია კანონიერ ძალაში, შეუძლიათ გააპროტესტონ მხოლოდ სსრ კავშირის პროკურორმა ან მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორმა, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ და მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ.

უმაღლეს სასამართლო ორგანოს წარმოადგენს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო. მას ეკისრება საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ყველა სასამართლო ორგანოს სასამართლო საქმიანობის ზედამხედველობა, იგი განიხილავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებს და ასწორებს საბჭოთა კავშირის ყველა სასამართლო ორგანოს შეცდომებს. სასამართლოს წყობილების დებულების პროექტი უმაღლეს სასამართლოს ანთავისუფლებს მისთვის შეუფერებელი მმართველობის ფუნქციებისაგან და ყველა პირობას ჰქმნის ძირითადი ამოცანის—საბჭოთა კავშირის ყველა სასამართლო ორგანოს სასამართლო საქმიანობის ზედამხედველობის სწორად განხორციელების—შესრულებისათვის.

— სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების პროექტი,—ამთავრებს თავის მოხსენებას ამხ. რიჩკოვი,—უჩვენებს მთელი მსოფლიოს მშრომელებს, რომ მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაშია შესაძლებელი შეიქმნას ნამდვილად ხალხური, ნამდვილად დემოკრატიული სასამართლო. დაე ახსოვდეთ მტრებს, რომ საბჭოთა მართლმსაჯულების მახვილი მომავალშიაც მარჯვედ და ულმობლად გაჰგმირავს მათ, ვინც გაბედავს აღმართოს თავისი ბინძური ხელი საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრების წინაალმდეგ, სოციალიზმის აყვავებული, საამური ქვეყნის წინაალმდეგ.

ამხ. რიჩკოვის მოხსენების დამთავრების შემდეგ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს შეერთებული სხდომა იხურება. (საქდესი).

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს II სესია.
კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. სურათზე: სხდომის დარბაზი
ფოტო ბ. ფიშმანისა („სოიუზფოტო")

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს II სესია

სესიის სხდომების დღიური

კავშირის საბჭოში

1938 წლის 15 აგვისტოს სხდომა

15 აგვისტოს, დღის 2 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, გაიხსნა კავშირის საბჭოს მეხუთე სხდომა.

ლოჟებში სხედან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სახალხო კომისრები.

დღის წესრიგში დგას კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თანამოხსენება „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების“ პროექტის შესახებ.

თავმჯდომარე — კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი **ტ. დ. ლისენკო** თანამოხსენებისათვის სიტყვას აძლევს კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წევრს დეპუტატ **ფ. ვ. შაგიმარდანოვს.**

—„სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების“ პროექტი, — ამბობს დეპუტატი შაგიმარდანოვი, — რომელიც შემოტანილია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, სავსებით აკმაყოფილებს დიადი სტალინური კონსტიტუციის მოთხოვნებს.

—სასამართლოს წყობილების დებულების პროექტი, — ამბობს ამხ. შაგიმარდანოვი, — სწორად სახავს სასამართლოების სრულ განთავისუფლებას ყოველგვარი ადმინისტრატიული ფუნქციებისაგან.

ამხ. შაგიმარდანოვი აღნიშნავს, რომ სასამართლოების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს ინსტანციების რიცხვის შემცირებას, რასაც პროექტი მოითხოვს. სასამართლოს მომქმედ სისტემაში ინსტანციების სიმრავლის გამო ბევრი საქმის გადასინჯვა რამდენჯერმე ხდებოდა, ხოლო ასეთ საქმეებზე გამოტანილი განაჩენები ან გადაწყვეტილებანი სიმტკიცეს ჰკარგავდნენ.

ამხ. შაგიმარდანოვი აცხადებს, რომ კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისია ურჩევს უმაღლეს საბჭოს მიიღოს პროექტით შემოტანილი წინადადებანი. ამასთან ერთად კომისია წინადადებას იძლევა შეტანილ იქნას პროექტში ზოგიერთი შესწორება. კერძოდ, წინადადებაა შეიცვალოს სასამართლოს წყობილების დებულების პროექტის მე-23 მუხლის რედაქცია. ამ რედაქციის თანახმად, სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევა ხდება საარჩევნო ოლქების მიხედვით, რომლებიც შეესაბამებიან თვითეული სახალხო სასამართლოს მოქმედების რაიონს.

ამავე დროს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების საარჩევნო ოლქი ტერიტორიული ერთეული კი არ იქნება, არამედ მოსახლეობის განსაზღვრულ რაოდენობას მოიცავს. ამიტომ კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიას წინადადება შემოაქვს მიღებულ იქნას ეს მუხლი შემდეგი რედაქციით:

„სახალხო მოსამართლეებს და სახალხო მსაჯულებს ირჩევენ რაიონების მოქალაქეები საარჩევნო ოლქების მიხედვით; სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნების საარჩევნო ოლქი მოიცავს მთელ მოსახლეობას, რომელიც მოცემული სახალხო სასამართლოს მოქმედების ტერიტორიაზე ცხოვრობს“.

იწყება კამათი „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების“ პროექტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო.

პირველი გამოდის სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრი ამხ. **ი. ტ. გოლიაკოვი.**

ამხ. გოლიაკოვი დაწვრილებით ჩერდება იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს სასამართლოს წყობილების ახალ დებულებას სასამართლო ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

სასამართლოს წყობილების დებულების პროექტი, სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე შედგენილი, კიდევ უფრო დემოკრატიულს ხდის ჩვენს სასამართლოს, კიდევ უფრო ძლიერ აკავშირებს მას მშრომელ მასებთან.

მოსამართლენი დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან — ნათქვამია სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-112 მუხლში. საბჭოთა სასამართლო ხალხის მიერ არჩეული, დამორჩილებული სოციალისტური კანონისადმი, რომელიც გამოხატავს ხალხის ნებისყოფას და რომელიც სდგას მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე მძლავრ იარაღს წარმოადგენს სოციალისტური წყობილების განმტკიცებისათვის, სსრ კავშირის საზღვრების დაცვისათვის, ჩვენი სამშობლოს მშრომელთა კულტურული, სამური და შეძლებული ცხოვრების შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში.

სტალინურმა კონსტიტუციამ, — ამბობს ამხ. გოლიაკოვი, — დიდად აამაღლა საბჭოთა სასამართლოს ავტორიტეტი. ეს ავალებს სასამართლოს კონსტიტუციის მიერ დასმული ამოცანების დონემდე აამაღლოს სასამართლოს მუშაობის ხარისხი.

ჩვენი სასამართლოები ჯერ კიდევ ვერ დაიკვეხნიან თავიანთი მუშაობის კარგ ხარისხს. ჯერ კიდევ დიდია სახალხო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებათა და განაჩენების პროცენტი, რომლებიც უქმდება. სასამართლოში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი საქმის გაჭიანურება. ასეთ ნაკლოვანებათა მოთმენა სასამართლოს მუშაობაში აღარ შეიძლება.

ამხ. გოლიაკოვი დაწვრილებით ლაპარაკობს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ამოცანების შესახებ. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-104 მუხლის თანახმად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო უმაღლეს სასამართლო ორგანოს წარმოადგენს. მას ეკისრება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ყველა სასამართლო ორგანოს სასამართლო საქმიანობის ზედამხედველობა.

ამ ზედამხედველობას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენს, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოსა და სახელმწიფო საწარმოების ინტერესებს, ცალკეული მოქალაქეების ინტერესებს უზრუნველჰყოფს კანონის დარღვევისაგან, რაც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სასამართლოს მუშაობაში. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლო, მიაქცევს რა მთელ თავის ყურადღებას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სასამართლო საქმეების განხილვასა და ყველა სასამართლოების სასამართლო საქმიანობის ზედამხედველობის განხორციელებაზე, დიდ როლს შეასრულებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის და საბჭოთა სასამართლოს მუშაობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საქმეში.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. გოლიაკოვი ამბობს:

— სასამართლო წყობილების ახალი დებულების პროექტი მტკიცე საფუძველი იქნება იმისათვის, რათა საბჭოთა სასამართლო მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს კიდევ უფრო მძლავრ იარაღად გადაიქცეს ყველა მტრისა და ფაშისტების დაქირავებულთა ხელყოფისაგან სოციალიზმის ურყევი საფუძვლების დაცვისათვის ბრძოლაში. ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში.

შემდეგ სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ზ. ა. ანდრეევას.**

— ჩვენი საბჭოთა მართლმსაჯულება, — ამბობს ამხ. ანდრეევა, — სასტიკად სჯის ყოველ ხელყოფას წმინდათა-წმინდა სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ. სტალინური კონსტიტუცია მოითხოვს გავუფრთხილდეთ და განვამტკიცოთ საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების წმინდათა-წმინდა და ხელშეუხებელი საფუძველი, როგორც სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების წყარო, როგორც ყველა მშრომელის შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყარო. ახალი დებულება მოითხოვს კიდევ უფრო აქტიურ ბრძოლას სოციალისტურ საკუთრების მტაცებლების წინააღმდეგ.

ამხ. ანდრეევა მკვეთრად აკრიტიკებს რუსეთის სფსრ და ჩუვაშეთის ასსრ პროკურატურის მუშაობის ნაკლოვანებებს.

დასასრულ, ამხ. ანდრეევა რწმენას გამოსთქვამს, რომ სესია ერთსულოვნად მოიწონებს და დაამტკიცებს „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების“ წარმოდგენილ პროექტს.

ამით კავშირის საბჭოს სხდომა იხურება. (საკდესი).

ეროვნებათა საბჭოში

1938 წლის 14 აგვისტოს სხდომა

14 აგვისტოს, საღამოს, შესდგა ეროვნებათა საბჭოს მეოთხე სხდომა, რომელზედაც გრძელდებოდა სსრ კავშირის 1938 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა.

ლოჟებში არიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და სახალხო კომისრები.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი.**

კამათში პირველი გამოდის დეპუტატი **პ. დ. კრასნოვი.** მხარს უჭერს რა წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტს, დეპუტატი კრასნოვი ლაპარაკობს, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები განსაკუთრებული კმაყოფილების გრძნობით ეგებებიან მთავრობის წინადადებას ჩვენი სამშობლოს თავდაცვის განმტკიცების ღონისძიებათათვის 27 მილიარდი მანეთის გადადების შესახებ.

დეპუტატი კრასნოვი აღნიშნავს, რომ ჩუვაშეთის რესპუბლიკის სოციალისტური მშენებლობის დაფინანსების ზრდის საფუძველზე, მისი მრეწველობის საერთო პროდუქცია 20 წლის განმავლობაში 22-ჯერ გაიზარდა. მხოლოდ მეორე ხუთწლედის განმავლობაში კაპიტალდაბანდება რესპუბლიკის მრეწველობაში 100 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს.

1937 წელს რესპუბლიკამ მიიღო უმაგალითო მოსავალი: საშუალოდ 92 ფუთი მარცვლეული ჰექტარზე, კოლმეურნეობებმა კი 97 ფუთი მიიღეს ჰექტარზე. კოლექტივიზაციის განხორციელებამდე ჩუვაშეთის გლეხობა ჰექტარზე მხოლოდ 45—50 ფუთს ღებულობდა.

— მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტი,—ამბობს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. **ნ. ა. ვოზნესენსკი,** — ყველაზე უფრო მტკიცე ბიუჯეტია მსოფლიოში. ჩვენი ბიუჯეტის სიმტკიცე ემყარება მთელი სახალხო მეურნეობის განუხრელ აღმავლობას. სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპები მიმდინარე წლის პირველ ნახევარში თვიდან თვემდე მატულობდა. იანვარში მთელი მრეწველობის პროდუქცია შარშანდელი წლის იანვართან შედარებით, 5,6 პროცენტით გაიზარდა, თებერვალში იგი უკვე გაიზარდა 9 პროცენტით, მარტში — 12 პროცენტით, აპრილში—15 პროცენტით, მაისში—16,2 პროცენტით და ივნისში—17,8 პროცენტით. ზრდის კიდევ უფრო მაღალი ტემპები მოგვცა მძიმე მრეწველობამ: იანვარში მისი პროდუქცია გაიზარდა 6,5 პროცენტით, თებერვალში—10,6 პროცენტით, მარტში—13,4 პროცენტით, აპრილში—18 პროცენტით, მაისში—19,6 პროცენტით და ივნისში—23,6 პროცენტით. სამრეწველო პროდუქციის მოცულობით სსრ კავშირმა მტკიცედ დაიკავა მეორე ადგილი მსოფლიოში.

საბჭოთა კავშირს უდიდესი სასურსათო რესურსები მოეპოვება. სსრ კავშირში არის ლითონი ფაშისტი აგრესორებისათვის პასუხის გასაცემათ. საბჭოთა კავშირში არის სათბობი ჩვენი ტანკებისა და თვითმფრინავებისათვის. საბჭოთა კავშირს აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მატერიალური შეიარაღებისათვის,—აცხადებს ამხ. ვოზნესენსკი.

კამათში სიტყვით უკანასკნელი გამოდის დეპუტატი ამხ. **ა. კაზაკპაევი.** იგი ლაპარაკობს კაზახურ ენაზე.

დეპუტატი კაზაკპაევი იწონებს მთავრობის მიერ წარმოდგენილ 1938 წლის ბიუჯეტს და ამბობს, რომ ეს ბიუჯეტი სავსებით ასახავს ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ნაციონალური რესპუბლიკის ხალხთა ინტერესებს. იგი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში კაზახეთი აყვავებულ ინდუსტრიულ-აგრარულ სოციალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა.

120 ახალი დიდი წარმოება აშენდა კაზახეთში. ის გახდა სპილენძის, თუთიის, ტყვიის, ნახშირის და კვების მსხვილი მრეწველობის რესპუბლიკად. რესპუბლიკაში არის 6.700 კილომეტრი რკინიგზის ლიანდაგი, 6.000 კილომეტრი სანაოსნო გზები, 13 ათასი კილომეტრი საჰაერო ხაზი. კაზახეთის მინდვრებში მუშაობს 25.000 ტრაქტორი და 8.000 კომბაინი.

კამათი სსრ კავშირის 1938 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო სწყდება.

შესვენების შემდეგ მომხსენებელი —სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. ა. გ. ზვერევი გამოდის საბოლოო სიტყვით.

— ეროვნებათა საბჭოსა და კავშირის საბჭოს სხდომაზე,—ამბობს ამხ. ზვერევი, — დეპუტატებმა ყოველმხრივ განიხილეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილი ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. მათ ერთხმად მოიწონეს ეს პროექტი. პროექტის განხილვის დროს საბიუჯეტო კომისიის მიერ შეტანილ იქნა შესწორებები ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილში.

ამხ. ზვერევი აუწყებს ეროვნებათა საბჭოს, რომ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს არაფერი აქვს საბიუჯეტო კომისიის წინადადებათა საწინააღმდეგო.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატები აღნიშნავდნენ აგრეთვე იმას, რომ ზოგიერთი სახკომატი, კერძოდ, მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი, მიწსახკომი და ვაჭრობის სახალხო კომისარიატი არ ასრულებენ თავის საფინანსო ვალდებულებებს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე, არ ასრულებენ საგეგმო დავალებებს პროდუქციის გამოშვებისა და თვითღირებულების შემცირების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭომ, — ამბობს ამხ. ზვერევი,—დამავალა მე განვუცხადო უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, რომ სახკომსაბჭოს მიერ უახლოეს მომავალში მიღებული იქნება დამატებითი კონკრეტული ღონისძიებანი ამ სახალხო კომისარიატების საფინანსო და საწარმოო მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ამხ. ზვერევი აცხადებს, რომ იგი მთლიანად და სავსებით იზიარებს დეპუტატებისა და საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის კრიტიკულ შენიშვნებს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ. სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა უნდა გააუმჯობესოს თავისი მუშაობა. ამასთან ერთად, რესპუბლიკებსა და ოლქებში უნდა ავამაღლოთ სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება საბჭოთა კაპეიკისადმი.

ამხ. ზვერევი უმაღლესი საბჭოს დეპუტატების განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ადგილობრივ საბჭოებს, ჯანმრთელობის და განათლების ორგანოებს სუსტად აქვთ ათვისებული სახსრები საბინაო-კომუნალურ და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დარგში. ტაჯიკეთის რესპუბლიკამ პირველი ნახევარი წლის განმავლობაში საბინაო-კომუნალური და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის წლიური გეგმა შეასრულა მხოლოდ 17,3 პროცენტით, ბელორუსიის რესპუბლიკამ—22 პროცენტით, ყირგიზეთის რესპუბლიკამ — 24,4 პროცენტით და სხვ. მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ადგილობრივი საბჭოები არ მომზადებულან მშენებლობისათვის. უზომოდ გაჭიანურდა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენა.

ჩვენ მთელი ძალღონე უნდა მოვიკრიფოთ, — ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. ზვერევი,—იმისათვის, რომ უზრუნველვჰყოთ 1938 წლის ბიუჯეტის შესრულება.

შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოდის ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი **ი. ს. ხოხლოვი.**

— ჩვენი ბიუჯეტი,—ამბობს იგი, —ასახავს მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ინტერესებს. აი რით აიხსნება ის ერთსულოვნება, რომლითაც ჩატარდა ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

სესიის გახსნა დაემთხვა იაპონელი აგრესორების თავდასხმას ჩვენი შორეული აღმოსავლეთის საზღვრებზე. უნდა ითქვას, რომ უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომა მიმდინარეობს ბოლშევიკური სიმშვიდით, ბოლშევიკური სიმტკიცით და თავისი ღირსების შენარჩუნებით. ამავე დროს, ჩვენი მთავრობის დავალებით, შორეულ-აღმოსავლეთის სახელოვანი წითელდროშოვანი ფრონტის მებრძოლებმა სასტიკად დაამარცხეს ყველა ისინი, ვინც ცდილობდა მოეწყო თავდასხმა ჩვენი წმინდათა-წმინდა საბჭოთა კავშირის საზღვრებზე.

ჩვენმა სესიამ ცხადჰყო მთელი მსოფლიოს წინაშე საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მისი დარაზმულობა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო.

დეპუტატები და სტუმრები ამხ. ხოხლოვის ამ სიტყვებს მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით ეგებებიან. ყოველი მხრით მოისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს! ვაშა ამხანაგ სტალინს!“

შემდეგ ეროვნებათა საბჭო გადადის სსრ კავშირის 1938 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტისათვის კენჭისყრასა და მის დამტკიცებაზე.

ეროვნებათა საბჭო იღებს დეპუტატ ი. ს. ხოხლოვის წინადადებას —კენჭი ეყაროს ბიუჯეტს ნაწილ-ნაწილად, ხოლო ნაწილებს შიგნით შესწორებათა შეტანის შემთხვევაში — ცალკეული მუხლების მიხედვით. ამის შემდეგ ბიუჯეტის წაკითხვა და დამტკიცება ხდება ნაწილებისა და მუხლების მიხედვით.

პროფკავშირებში მომუშავე დეპუტატთა ჯგუფის სახელით დეპუტატ **პ. გ. მოსკატოვს** შეაქვს წინადადება,—სსრ კავშირის ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხოს სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი, რამდენადაც ამ ბიუჯეტში შექმნილი სახსრები წარმოადგენენ სახელმწიფო სახსრებს და თავისი დანიშნულებით მთლიანად ხმარდება იმავე მიზნებსა და ამოცანებს, რომლებსაც ანხორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტი მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული მომსახურების დარგში. ეროვნებათა საბჭო ერთხმად ღებულობს ამ წინადადებას.

ეროვნებათა საბჭო, მუხლობრივი კითხვის წესით, ერთხმად ამტკიცებს —მუხლობრივად, ხოლო შემდეგ მთლიანადაც „კანონს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1938 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

დეპუტატ **პ. ა. ვერშკოვის** წინადადებით ეროვნებათა საბჭო ღებულობს დადგენილებას — მოხსენება „სსრ კავშირისა, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სასამართლო წყობილების დებულების“ პროექტის შესახებ მოსმენილ იქნას კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე.

ამით იხურება ეროვნებათა საბჭოს მეორე სესიის მეოთხე სხდომა.

(საკდესი)

ეროვნებათა საბჭოში

1938 წლის 15 აგვისტოს სხდომა

15 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა ეროვნებათა საბჭოს მეხუთე სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი.**

ლოჟებში სხედან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სახალხო კომისრები.

თანამოხსენებით „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების“ პროექტის შესახებ გამოვიდა ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი **პ. ა. ტიურკინი.**

საკანონმდებლო განზრახულობათა კომისია, — ამბობს ამხ. ტიურკინი, ფიქრობს, რომ სასამართლოს წყობილების დებულების წარმოდგენილი პროექტი სავსებით აკმაყოფილებს სტალინური კონსტიტუციის მოთხოვნებს.

საბჭოთა სასამართლოს წყობილების უმნიშვნელოვანესი პრინციპი მდგომარეობს სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნობაში საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

სასამართლოს წყობილების დებულება ხაზგასმით აღნიშნავს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპს და მათს დაქვემდებარებას მხოლოდ კანონისადმი. ეს განამტკიცებს სასამართლოს როლსა და მნიშვნელობას, კიდევ უფრო გააძლიერებს მის ავტორიტეტს.

დებულებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ მუხლებს, რომლებიც მიმართულია სსრ კავშირში შემავალ ეროვნებათა უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფისაკენ (სამართალწარმოება მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ენებზე, თარგმნის უზრუნველყოფა და ა. შ.).

— ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიას შემოაქვს წინადადება, — აცხადებს ამხ. ტიურკინი, — მოწონებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტი „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულებისა“.

შემდეგ ამხ. ტიურკინს კომისიის სახელით შეაქვს დებულების პროექტის მთელი რიგი დამატებანი და დაზუსტებანი, კერძოდ, შეაქვს წინადადება, რათა დებულების მე-5 მუხლი შეივსოს მითითებით, რომ მართლმსაჯულება სსრ კავშირში ხორციელდება ყველასათვის ერთიანი და თანასწორი სასამართლოს საფუძველზე, მიუხედავად არა მარტო ქონებრივი, სამსახურებრივი და სოციალური მდგომარეობისა, არამედ რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისაც. შემოდის წინადადება დაემატოს მე-21 მუხლს მითითება, რომ სახალხო სასამართლოები აწარმოებენ აგრეთვე სამოქალაქო საქმეებსაც საბინაო უფლებების დარღვევის შესახებ აღძრული სარჩელების გამო.

დასასრულ, ამხ. ტიურკინი ჩერდება სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობის მთელ რიგ ნაკლოვანებებზე.

შემდეგ იწყება კამათი „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების“ პროექტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო.

პირველი გამოდის დეპუტატი **მ. ვ. გორბაჩევი.** იწონებს რა სასამართლოს წყობილების დებულების წარმოდგენილ პროექტს, იგი ამბობს, რომ ეს პროექტი უზრუნველჰყოფს საბჭოთა სასამართლოს შემდგომ დემოკრატიზაციას და მისი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას. ამხ. გორბაჩევი აღნიშნავს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს დებულების პროექტის მე-7 მუხლს, რომელშიაც ლაპარაკია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ენებზე სამართალწარმოების შესახებ.

ამხ. გორბაჩევმა გააკრიტიკა სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატი იმისათვის, რომ იგი ცუდად უწევს ხელმძღვანელობას კადრების მომზადებას და სუსტად ეხმარება სახალხო სასამართლოების ახალ მუშაკებს.

დიდი სიტყვით გამოვიდა რუსეთის სფსრ იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. **ი. პ. დმიტრიევი.** მან საინტერესო ცნობები მოიყვანა იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაში, ხალხის კულტურისა და კეთილდღეობის ზრდასთან ერთად, ძალიან მცირდება დამნაშავეობა. მაგალითად, რუსეთის სფს რესპუბლიკაში მსჯავრდადებულთა რაოდენობა 1937 წელს, 1930 წელთან შედარებით, თითქმის სანახევროდ შემცირდა. კიდევ უფრო განსაცვიფრებელია მიმდინარე წლის ციფრები. 1938 წლის პირველ ნახევარში, 1937 წელთან შედარებით, ნასამართლობა ერთიორად შემცირდა.

დიადმა სტალინურმა კონსტიტუციამ უმაგალითო სიმაღლეზე აიყვანა საბჭოთა სასამართლო. მას უაღრესად დიდი ამოცანები დაეკისრა.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის ძველი, მავნებლური ხელმძღვანელობა ცდილობდა დაენგრია სასამართლოს სისტემა, გამოეყენებინა სასამართლო პატიოსანი საბჭოთა მოქალაქეების სახელის გასატეხად. იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და რესპუბლიკათა სასამართლოების ახალი ხელმძღვანელობა მუშაობას ეწევა სასამართლოს სისტემის გარდაქმნისათვის და მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის. მაგრამ რუსეთის სფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს ჯერ კიდევ ბევრი რამ არ გაუკეთებია.

სახელოვანმა საბჭოთა დაზვერვამ, რომელსაც სტალინური სახკომი ამხ. ნ. ი. ეჟოვი მეთაურობს, გაანადგურა ანტისაბჭოთა მემარჯვენე-ტროცკისტულ ტერორისტულ ბლოკად გაერთიანებულ ფაშისტ ჯაშუშთა გველის ბუდეები.

საბჭოთა კავშირის სასამართლოს მუშაკები და ყველა მშრომელი მუდამ ფხიზლად უნდა იყვნენ, რათა ამხილონ ჯაშუშები, დივერსანტები და გამცემლები, როგორ ნიღაბსაც უნდა ეფარებოდნენ ისინი. საჭიროა ყოველი ძალღონით დავეხმაროთ შინსახკომის ორგანოებს ამ საპატიო მუშაობაში.

ამხ. დმიტრიევი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს კადრების მომზადების, სახალხო სასამართლოების არჩევნების ბოლშევიკურად ჩატარების, სოფლის საზოგადოებრივი სასამართლოებისა და საწარმოო-საამხანაგო სასამართლოებისათვის დახმარების გაწევის ამოცანებს.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **გ. ნ. ბაჟულინს.** იწონებს რა სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების პროექტს, იგი აცხადებს, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები უღრმესი კმაყოფილებით შეეგებებიან ამ დოკუმენტს.

ამხ. ბაჟულინი აღნიშნავს იუსტიციის სახალხო კომისარიატის მუშაობის ნაკლოვანებებს სასამართლოს მუშაკების კადრების მომზადების საქმეში.

შემდეგ გამოდის დეპუტატი **ვ. პ. ეფრემოვი,** რომელიც სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და უმაღლესი სასამართლოს სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს საქმეთა გარჩევის გაჭიანურების აღმოფხვრის აუცილებლობაზე. იმ ინსტანციების დიდი რაოდენობით არსებობა, რომელთაც უფლება ჰქონდათ გაეპროტესტებინათ სასამართლოს გადაწყვეტილება, მუშაობას ართულებდა. ამიტომ ამხ. ეფრემოვი მთლიანად იწონებს ცვლილებებს, რაც გათვალისწინებულია დებულების პროექტის მე-16 მუხლით, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების გაპროტესტების უფლებას მხოლოდ სსრ კავშირის პროკურორს, მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორს, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარესა და მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ანიჭებს.

— მეფის სასამართლო ნაციონალურ განაპირა მხარეებში, — ამბობს შემდეგ გამოსული დეპუტატი **ს. დ. იონიჩევი,**—ხალხთა უსასტიკესი დამონების იარაღს, ექსპლოატაციის, ადამიანის ღირსების შელახვის იარაღს წარმოადგენდა. თურქმენ ქალს, სამართალწარმოების იმ დროს არსებული წესის თანახმად, სასამართლოში მოწმედ ყოფნაც კი არ შეეძლო. მოწმედ გამოსვლა მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ მის ჩვენებას მამაკაცი დაადასტურებდა. ამჟამად თურქმენეთის 7.000-ზე მეტი ქალი მუშაობს სახალხო მსაჯულებად. რესპუბლიკის 70 სახალხო მოსამართლეს შორის 9 ქალია.

ამხ. იონიჩევი აკრიტიკებს სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატს მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციის დარგში არასაკმაო მუშაობისათვის.

რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. **ა. პ. სოლოდილოვი** აცხადებს, რომ სასამართლოს წყობილების დებულების პროექტის შემუშავება საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ მოლოტოვის უშუალო ხელმძღვანელობით სწარმოებდა.

ამხ. სოლოდილოვი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ სასამართლო ორგანოებს ადმინისტრატიული ფუნქციები არ ექნებათ. დღემდე სასამართლოები კადრების შერჩევაზედაც მუშაობდნენ, სამეურნეო-საორგანიზაციო საკითხებზედაც და ამიტომ ზოგჯერ შორდებოდნენ სასამართლოს მუშაობას.

დეპუტატი **მ. ს. მანუკიანცი** მოაგონებს სესიას, რომ ხალხის მტრები, რომლებიც იუსტიციის ორგანოებში გაძვრნენ, ცდილობდნენ დაეცათ ჩვენი საბჭოთა სასამართლოების ავტორიტეტი, შეესუსტებინათ სასამართლო ორგანოების მუშაობა სოციალისტური კანონიერების განმტკიცების დარგში, და მოუწოდებს გააძლიერონ სიფხიზლე სასამართლოების მუშაობისადმი. შემდეგ იგი შენიშვნებს იძლევა აზერბაიჯანის იუსტიციის სახალხო კომისარიატის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ი. ტ. ნიკიტჩენკო** თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალი „დებულება სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების შესახებ“ საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო მეტად განვამტკიცოთ ჩვენი საბჭოთა სასამართლო.

დეპუტატი **კ. ა. ბარმაშოვი** ლაპარაკობს იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს მუშაკთა კადრების შერჩევას. იგი ამბობს, რომ კაზახეთის რესპუბლიკაში მოკლე დროის განმავლობაში სასამართლოს სამუშაოზე დაწინაურებული იყო 212 ახალი მუშაკი. ბევრმა მათგანმა უკვე დაიმსახურა მოსახლეობის წინაშე გულისხმიერი და კარგი მუშაკის სახელი.

შემდეგ იგი ჩერდება კაზახეთის რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების მიერ მუშაობაში დაშვებულ ცალკეულ შეცდომებზე.

ამხ. ბარმაშოვი იუსტიციის სახალხო კომისარიატის წინაშე აყენებს საკითხს, რომ საჭიროა მოეწყოს ალმა-ატაში იურიდიული ინსტიტუტი.

ამხ. ბარმაშოვის გამოსვლის შემდეგ სხდომა დაიხურა. (საკდესი).

როდის მიაღწევს აფხაზეთი გარდატეხას ჩაის კრეფაში?

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

აფხაზეთის ასსრ ჩამორჩა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაში. 10 აგვისტოსათვის მთელ აფხაზეთში მოკრეფილი იყო სულ 2.269,3 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ წლიური გეგმის 65,6 პროცენტი.

ჩამორჩენა განსაკუთრებით საგრძნობია საბჭოთა მეურნეობების ხაზით. 5 აგვისტოსათვის აქ გეგმის შესრულება 46,5 პროცენტს არ აღემატებოდა. ამ რიცხვისათვის ოჩამჩირის რაიონს ჩაის ფაბრიკებისათვის ჩაბარებული ჰქონიათ 756,1 ტონა ჩაის ფოთოლი — გეგმის 54,4 პროცენტი, ხოლო გალის რაიონს— 1434,2 ტონა (55,8 პროცენტი).

ჩამორჩენის სურათი უფრო ნათელი გახდება, თუ გავეცნობით ჩაის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის შედეგებს ივლისში. ივლისის გეგმა მთელ რესპუბლიკაში შესრულდა 77,9 პროცენტით. აფხაზეთმა ივლისში სახელმწიფოს დააკლო 232,3 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

რაში მდგომარეობს ჩამორჩენის მიზეზი?

გალისა და ოჩამჩირის რაიმიწგანებისა და მტს-ის მუშაკებს რომ ჰკითხოთ, ჩაის ფოთლის ზრდა-განვითარება სუსტად მიდის, ფოთოლი არ არის. ასეთი „მსჯელობა“ სიმართლეს მოკლებულია.

გალის რაიონის სოფელ ჰუბურისხინჯის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში სისტემატურად უხეშდება ფოთოლი, რადგან მას განუწყვეტლივ და დროზე არ ჰკრეფენ. ამ კოლმეურნეობაში ყოველდღიურად უნდა იკრიფებოდეს 340-400 კილოგრამი ფოთოლი. პლანტაციას თამამად შეუძლია ყოველდღიურად ამ რაოდენობის ფოთლის მოცემა, მაგრამ ფაქტიურად მხოლოდ 150-200 კილოგრამს ჰკრეფენ.

ამავე რაიონის სოფელ მეორე-ბედიის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში დროზე მოუკრეფაობის გამო გაუხეშებულია მთელი ფოთლის 30 პროცენტი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიჟარაძე და უბნის აგრონომი ლაბანუა კი უტიფრად აცხადებენ, პლანტაციები ცუდ ვეგეტაციას იძლევიან და ფოთოლი საკმაო არ არისო.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ მოქვის კოლმეურნეობა „ჯალ-აფსუაში“ ჩამორჩენის მიზეზად ასახელებენ მუშა-ხელის სიმცირეს: ამ „აზრს“ იცავს პირველ ყოვლისა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. ასლანძია და მას კვერს უკრავენ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე კაჭარავა და უბნის აგრონომი აჩბა. სინამდვილეში მუშა-ხელი საკმაოდ არის, მაგრამ კოლმეურნეობაში დაცემულია შრომის დისციპლინა.

ჩამორჩენას იწვევს ისიც, რომ ბევრგან პლანტაციების მოვლა-დამუშავება თვითდინებაზეა მინდობილი.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ კვიტაულის და ჯღერდის კოლმეურნეობებში კულტივაცია ზერელედ ჩაატარეს. ასეთ მდგომარეობაშია 100-მდე ჰექტარი ჩაის პლანტაცია. აგუბედიის სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობა „აგუბედიას“ მე-18 ბრიგადის ნაკვეთები თითქმის მთლიანად გაუთოხნავია. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში კი სასუქი პირდაპირ დაჰყარეს პლანტაციებში და არ ჩაუთოხნიათ. ამაში ბრალი მიუძღვის უბნის აგრონომ წითლიძეს და აგროტექნიკოს კირცხალიას.

ჩაის კოლმეურნეობებში სუსტად არის გაშლილი ბრძოლა გამოჩენილ სტახანოველების — უშა ახუბას, ცაცა ქარდავას, უშა ქვაჩახიას და სხვათა გამოცდილების დანერგვისათვის. ჩაის კრეფის პირველ დღეებში ამ მხრივ გადაიდგა ნაბიჯები, მაგრამ შემდეგ ეს საქმე დავიწყებას მიეცა. ოჩამჩირისა და გალის რაიონების პარტრაიკომებმა, რაიაღმასკომებმა და მიწგანებმა დაივიწყეს მოწინავე სტახანოველთა გამოცდილების გაზიარების დიდი მნიშვნელობა ჩაის კრეფის გეგმის სასახელოდ შესრულებისათვის.

აგვისტო ჩაის კრეფის გეგმების შესრულების გადამწყვეტი თვეა. აგვისტოში აფხაზეთმა უნდა მიაღწიოს გადამჭრელ გარდატეხას ჩაის კრეფაში.

გ. მერკვილაძე

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებიდან

კომუნისტების ავანგარდული როლი წარმოებაში

ქ. ლენინგრადის ფაბრიკა „კრასნი მაიაკის“ საქსოვი საამქროს პირველადმა პარტორგანიზაციამ დიდი მუშაობა ჩაატარა კომუნისტებს შორის პარტიის გადაწყვეტილებათა განმარტებისა და შესწავლისათვის. ეს დაეხმარა კომუნისტებს აემაღლებინათ ავანგარდული როლი წარმოებაში.

მაგალითად, ამხ. სტარჩენკო მუშაობს პარტორგის პირველ მოადგილედ, სწავლობს საერთო განათლების წრეში. წარმოებაში იძლევა საუკეთესო მაჩვენებლებს. ყოველდღიურ დავალებას ასრულებს 125 პროცენტით.

ფაბრიკის კომუნისტები წარმოებაში ფართოდ ნერგავენ შრომის სტახანოვურ მეთოდებს. VI ბრიგადას არასახარბიელო საწარმოო მაჩვენებლები ჰქონდა. იქ ხელმძღვანელად გადაიყვანეს საამქროს პარტორგის მოადგილე, სტახანოველი ხელოსანი ამხ. სერგანოვი, ახლა ბრიგადა ყველაზე მოწინავეა.

იქ კომუნისტების მიერ თეორიული სწავლის პრაქტიკულ მუშაობასთან შეთავსების არცთუ ცოტა მაგალითებია: პარტკანდიდატმა ქსენია დმიტრიევამ დაამთავრა პარტაქტივის ვიბორგის სარაიონო სახლთან არსებული სკოლა. ახლა ის საამქროში დიდ პარტიულ მუშაობას ეწევა და საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებს იძლევა.

ახალგაზრდა პარტკანდიდატი ამხ. ყირიუშკინი მიღებულ იქნა პარტიაში თანამგრძნობთა ჯგუფიდან. ის აქტიურ სააგიტაციო მუშაობას ეწევა საამქროში და აქვს კარგი საწარმოო მაჩვენებლებიც.

კომკავშირელი ქალი ამხ. კრიუჩკოვა პარტორგანიზაციამ აღზარდა. მან დაამთავრა საქარხნო-საფაბრიკო სკოლა. მუშაობდა ჯერ ქარგლად და შემდეგ კი ოსტატად. ახლა პარტიის წევრია და კედლის გაზეთის საუკეთესო რედაქტორი. საამქროშიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, ამჟამად მივლინებულია სწავლისათვის სამრეწველო აკადემიაში.

ქარგალი ამხ. ჟილცოვი სწავლობდა აგიტატორთა რაიონულ სკოლაში და მეცადინეობდა აგიტკოლექტივში.

ქარხანაში საუკეთესოდ ეხმარებიან ჩამორჩენილ მუშებსაც. აი მაგალითი. კომუნისტი ქალი ამხ. კოჩაროვა ძველი მუშაა, 20 წელი გაატარა ამ ფაბრიკაში. უკანასკნელად ის ჩამორჩა გეგმის შესრულებაში, მას ესაუბრენ, გაეცნენ მის საწარმოო გამოცდილებას და ახლა ის ყოველდღიურ დავალებას 103 პროცენტით და მეტითაც ასრულებს.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სტახანოველებთან რეგულარულად ხდება თათბირების მოწვევა. ხშირად იწვევენ აგრეთვე საწარმოო თათბირებსაც, რომლებზეც საქმიანად გამოდიან ფაბრიკის ძველი მუშები და თავიანთ დადებითს საწარმოო გამოცდილებას უზიარებენ სხვებს; ეს ფართოდ შუქდება საამქროს კედლის გაზეთშიც.

ამრიგად, ქარხანაში კომუნისტების ავანგარდული როლი დღითიდღე იზრდება. 78 კომუნისტიდან სტახანოველია 54, ხოლო დამკვრელია 22 კაცი.

ფართოდ არის გაშლილი სოცშეჯიბრება ცალკეულ საამქროებს შორის. გამკრიალებელმა საამქრომ შეჯიბრებაში გამარჯვების შედეგად გარდამავალი დროშა მიიღო.

ჟურნ. „პარტიინოე სტროიტელსტვო“ № 15.

კარგად მოვამზადოთ პარტიული კრებები

(ჭიათურა, საკ. კორესპონდენტისაგან)

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ვოროშილოვის სახელობის მაღაროს პარტიული ორგანიზაცია რაიონის დანარჩენ პარტორგანიზაციებთან შედარებით, შეიძლება ითქვას, კარგად მუშაობს, პარტიული კომიტეტი (მდივანი—ამხ. ა. ყაველაშვილი) ყოველი თვის დასასრულს ადგენს მომავალი თვის გეგმას, რომლის მიხედვითაც ტარდება კრება. კრების მოწვევა პარტიის წევრებსა და კანდიდატებს თვალსაჩინო ადგილზე განცხადების გაკვრით და კომიტეტის წევრების საშუალებით 4-5 დღით ადრე ეცნობებათ. ორგანიზაციის წევრებს ეძლევათ დავალება თვითეული საკითხის მომზადებისათვის. კომუნისტები წინასწარ არკვევენ საკითხებს, საფუძვლიანათ ეცნობიან მათ და მომზადებული გამოდიან კრებებზე.

ამის შედეგია, რომ ამ ორგანიზაციაში ადგილი არა აქვს კრებების გაჭიანურებას. კრებაზე გამოსული ამხანაგები საქმიანად აკრიტიკებენ ყველა იმ ნაკლოვანებას, რომლებიც ახასიათებს მაღაროს პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციათა მუშაობას. პარტიულ კრებებზე იხილავენ როგორც პარტიულ, ისე სამეურნეო საკითხებს. განხილული საკითხების გარშემო კრებაზევე გამოაქვთ საჭირო დადგენილებანი, სისტემატურად სწარმოებს მიცემულ დავალებათა შესრულების შემოწმება.

მაგრამ ასე როდი მუშაობს სოფელ წასრის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია (ორგანიზატორი—გ. ვაშაძე). პარტორგანიზატორი არასდროს არ აკრავს განცხადებას პარტორგანიზაციის საერთო კრების მოწვევის, კრების ადგილის, დროისა და დღისწესრიგში დასმული საკითხების შესახებ. აქ ყოველთვის კრებებს ნაუცბათევად იწვევენ, საკითხებს ზერელედ იხილავენ, არ სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს პარტორგანიზაციისა და კოლმეურნეობის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

საჭიროა ამ ზონაში მომუშავე რაიკომის ინსტრუქტორმა მეტი დახმარება გაუწიოს სოფელ წასრის პარტორგს ამხ. ვაშაძეს.

მ. გაფრინდაშვილი.

არ სჩანს კომუნისტთა ავანგარდული როლი

(ვანი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაციები სუსტად იბრძვიან საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიმდინარე წლის 19 აპრილის დადგენილების განხორციელებისათვის. ისინი მხოლოდ ღონისძიებათა დასახვით დაკმაყოფილდნენ და ყურადღება არ მიაქციეს მისი შესრულების შემოწმებას.

გალმა შუამთის კოლმეურნეობა „გზა სოციალიზმისაკენ“-ში არსებობს პირველადი პარტორგანიზაცია (ორგანიზატორი შ. ნაფეტვარიძე), რომელშიაც გაერთიანებულია პარტიის 10 წევრი და ერთი კანდიდატი. ექვს მაისს ორგანიზაციის კრებაზე განხილულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 19 აპრილის დადგენილებანი კოლმეურნეობიდან კოლმეურნეთა გარიცხვის აკრძალვის და სხვ. შესახებ. ამ კოლმეურნეობაში ადგილი აქვს სას. სამეურნეო არტელის სტალინური წესდების დარღვევას მოსავლის განაწილების საქმეში, რომლის გამოსწორებისათვის პირველად პარტორგანიზაციას დღემდე არ უზრუნვია.

1937 წელში კოლმეურნეობამ გაჰყიდა არახისი, მაგრამ სამტრედიის სარეწაო კომბინატმა კოლმეურნეობას 17.900 მანეთი დააკლო. კომბინატის ხელმძღვანელები პირდებოდნენ კოლმეურნეობას, რომ ისინი ამ თანხას მალე გადაუხდიდნენ, მაგრამ დღესაც გადაუხდელი აქვთ. კოლმეურნეობის გამგეობა დაიმედებული რომ ამ თანხას აიღებდა, ის შრომა დღეებზე გაანაწილა, რის შემდეგ შრომა-დღეებზე გაიცა სულ სხვა თანხები. ამ კოლმეურნეობაში ადგილი აქვს ერთს განსაცვიფრებელ შემთხვევას. გასული წლის ბოლოს დაიხურა რა კოლმეურნეობის ყოველგვარი ანგარიშები, აღმოჩნდა, რომ საწყობში არის 14.000 მანეთის არახისი, რომელიც გაყიდული იქნა მაშინვე და ფული შეიტანეს 1938 წლის შემოსავალში. რატომ? ამაზე პასუხს ვერავინ იძლევა. ერთი რამ კი ცხადია, რომ 14.000 მანეთი, რომელიც უდაოდ გასული წლის შემოსავალში უნდა გატარებულიყო, არ გაატარეს და შრომადღის ფულადი ღირებულება შემცირდა.

რესპუბლიკის პროკურატურამ უნდა აიძულოს სამტრედიის სარეწაო კომბინატი გადაუხადოს კოლმეურნეობას კუთვნილი 17.900 მანეთი.

ამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა ახალი შეცდომა დაუშვეს: გაუნაღდებელი 17.900 მანეთის მაგიერ შრომა-დღეებზე გასცეს ფული მიზნობრივი თანხებიდან, როგორიცაა რამის გასაშენებელი კრედიტები და სხვ., რომლის უფლება კოლმეურნეობას არ აქვს, დამახინჯების წინააღმდეგ პირველადს პარტორგანიზაციას არავითარი ზომები არ მიუღია.

ამ კოლმეურნეობაში არ სჩანს კომუნისტთა ავანგარდული როლი: უპარტიო კოლმეურნეებთან შედარებით კომუნისტებს ნაკლები შრომა-დღეები აქვთ გამომუშავებული. ასე, მაგალითად, თვით პარტორგს შ. ნაფეტვარიძეს გამომუშავებული აქვს 121 შრომადღე და პარმენ ნაფეტვარიძეს 122 შრომადღე, მაშინ, როცა უპარტიო კოლმეურნეს ისაკი გოგაძეს გამომუშავებული აქვს 168 შრომადღე, ამბაკო ნაფეტვარიძეს 150 შრომადღე და ა. შ. ეს გამოწვეულია იმით, რომ პარტორგანიზაცია ნაკლებად მუშაობს კომუნისტებთან მათი ავანგარდული როლის გამოჩენისათვის.

კიდევ უფრო ჩამორჩენილია პარტიული მუშაობა ქვედა ვანის „განთიადის“ კოლმეურნეობასთან არსებულ პირველადს პარტორგანიზაციაში (ორგანიზატორი — ივანე ხელაძე), რომელშიაც პარტიის 6 წევრი და 3 კანდიდატი ირიცხება. 5 მაისს პარტორგანიზაციის კრებამ განიხილა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 19 აპრილის დადგენილებანი და მიიღო შემდეგი სახის გადაწყვეტილება: „აღნიშნული დადგენილება დამუშავებული იქნას ყველა ბრიგადებში“. ოქმში არ სწერია და არც აქვთ დასახული ღონისძიება, თუ რა დეფექტებს აქვს ადგილი კოლმეურნეობაში, მაშინ როცა აქ დეფექტები არის. ასე, მაგალითად, გასულ წელს კოლმეურნეობიდან გარიცხეს 10 კოლმეურნე, როგორც საკოლმეურნეო სამუშაოებისათვის თავ-ამრიდებელნი. აქედან აღდგენილია 4 კოლმეურნე, მაგრამ 6 კოლმეურნეს ჯერაც არ შემოუტანია განცხადება მათი კოლმეურნეობაში აღდგენის შესახებ.

ადგილი აქვს სას. სამეურნეო არტელის სტალინური წესდების დარღვევის შემთხვევებს. მაგალითად, კოლმეურნე ლუკა დვალიშვილს პირად სარგებლობაში ყავს 17 სული რქოსანი პირუტყვი, 10 ცხენი და 4 სახედარი, იგი კოლმეურნეობაში არაფერს აკეთებს, მაგრამ დღესაც კოლმეურნედ ითვლება. პარტორგანიზაცია კი არაფერ ზომებს არ ღებულობს.

ყველა ეს მაგალითი იმას მოწმობს, რომ რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაციები სუსტად მუშაობენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 19 აპრილის დადგენილების განხორციელებისა და კომუნისტთა ავანგარდული როლის მოპოვებისათვის კოლმეურნეობაში.

ნ. თვალაბეიშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის ქალაქკომის პარტკაბინეტთან არსებული სარაიონთაშორისო კურსები. სამტრედიის ხე-ტყის ქარხნის პარტკომის მდივანი ბ. რურუა, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების პარტკომის მდივანი ლ. ბაბუხიძე და ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობა „ზემოხევის“ პარტორგი გ. მაჩაიძე მეცადინეობაზე.

ფოტო პ. ლუცენკოსი. („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

საფინანსო ორგანოებმა თავი უნდა დააღწიონ ჩამორჩენას

საქართველოს საფინანსო ორგანოებმა ვერ გააკეთეს სათანადო დასკვნები სსრკ სახკომსაბჭოს 26 აპრილის დადგენილებიდან და გადასახადთა ნარჩენების აკრეფას უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან. მაგალითად, ბორჩალოს რაიონს 10 აგვისტოსათვის აკრეფილი აქვს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენის 5,6 პროცენტი, თვითდაბეგვრისა — 0,6 პროცენტი, სოფლად კულტგამოსაღებისა — 12,1 პროცენტი. მსგავსი მდგომარეობაა, თუ უფრო ცუდი არა, ბაშკიჩეთის, გურჯაანის, თბილისის, დუშეთის, თელავის, ლაგოდეხის, გორის, ალბულაღის, კასპის, ლუქსემბურგის, ცხაკაიას, ხაშურისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

საფინანსო სისტემა ამჟამად ატარებს უაღრესად პასუხსაგებ სამეურნეო-პოლიტიკურ კამპანიას — 1938 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აღებას. დაწესებულ ვადებში (პირველი ვადა 1 ოქტომბერი, მეორე—15 ნოემბერი, მესამე—15 დეკემბერი) გადასახადის აღება საფინანსო ორგანოებისა და ყველა მშრომელის საბრძოლო ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის საფინანსო ორგანოებს ყველა პირობა მოეპოვებათ.

საგადასახადო აგენტების სახით საქართველოს საფინანსო ორგანოებში მოვიდნენ ახალი მუშაკები, რიცხვით 1000-ზე მეტი. საგადასახადო აგენტებად შერჩეული არიან შემოწმებული ადამიანები, მაგრამ ზოგიერთ რაიონში მათს შერჩევას აშკარად ფორმალურ-ბიუროკრატულად მიუდგნენ და საგადასახადო აგენტების თანამდებობაზე მიიღეს ამ საქმისათვის სრულიად შეუფერებელი პირები. ცუდი შერჩევა არის იმის მიზეზი, რომ მთელ რიგ რაიონებში ადგილი აქვს საგადასახადო აგენტთა ხშირ ცვალებადობას. მაგალითად, გორის რაიონში მარტო ივლისში, 9 აგენტი შეიცვალა. მსგავსი მდგომარეობაა თბილისის, წალკის და ზოგიერთ სხვა რაიონში. საგადასახადო აგენტთა შერჩევაში დაშვებული შეცდომები დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

საქართველოს ზოგიერთმა რაიონულმა საფინანსო ორგანოებმა ვერც სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა აღების საქმეში დანერგეს მუშაობის ბოლშევიკური სტილი. 1938 წლის პირველი კვარტალის საკონტროლო დავალება რესპუბლიკაში შესრულებულია მხოლოდ 53,7 პროცენტით, მეორე კვარტალისა — 47,7 პროცენტით, მესამე კვარტალის საკონტროლო დავალება 10 აგვისტოსათვის ნაცვლად 44,4 პროცენტისა შესრულებულია მხოლოდ 15,8 პროცენტით. განსაკუთრებით ჩამორჩებიან და აშკარა ოპორტუნისტულ თვითდინებაზე არიან დანდობილნი ასპინძის (10 აგვისტოსათვის გეგმა შესრულებული აქვს 4,8 პროცენტით), ბორჩალოს (4,3 პროც.), კასპის (4,0 პროც.) გეგეჭკორის (7,6 პროც.), ონის (5,4 პროც.), საგარეჯოს (5,9 პროც.), მახარაძის (5,8 პროც.) და ზესტაფონის (5,2 პროც.) საფინანსო განყოფილებები.

სახელმწიფო დაზღვევის დარგში საკონტროლო დავალებათა ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ საფინანსო ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაჰქმნეს ორგმასობრივი მუშაობა პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებათა შესაბამისად; კოლმეურნეობებში სასიგნალო საგუშაგოები არ არის ჩამოყალიბებული, ბევრ სასოფლო საბჭოში ჯერ კიდევ გამოყოფილი არ არიან საზოგადოებრივი ინსპექტორები და ნებაყოფლობითი დაზღვევის აგენტები, საფინანსო განყოფილებანი სათანადო ხელმძღვანელობას არ უწევენ სახდაზღვევის ინსპექციებს. ზოგიერთ რაიონში, როგორიცაა, მაგალითად, კასპის და გეგეჭკორისა, სახდაზღვევის ინსპექციების აპარატი ძალიან სუსტია. მათ ვერ შესძლეს მენარჩენეთა სიების დაზუსტება.

საფინანსო განყოფილებებისა და სახდაზღვევის ინსპექციების მოუქნელი მუშაობის შედეგად საგადასახდელო უწყებები, რომლებიც გადამხდელებს 1 აგვისტომდე უნდა ჩაბარებოდათ, ქ. თბილისის, ყვარლის, ლუქსემბურგის, ბაშკიჩეთის, ზესტაფონის და ჩხარის რაიონებში დღემდე მთლიანად არ არის ჩაბარებული.

მიუხედავად იმისა, რომ ნებაყოფლობითი დაზღვევა დიდი პოპულარობით სარგებლობს მასებში, ზოგიერთი რაიონის საფინანსო განყოფილება ვერ ასრულებს ნებაყოფლობითი დაზღვევის გეგმებს, ამ მხრივ ყველაზე ცუდ მაგალითს იძლევიან კასპის, ასპინძის, ქვემო-სვანეთის, ყვარლისა და ყაზბეგის რაიონები. ამ რაიონებს მესამე კვარტალში ნებაყოფლობითი დაზღვევის ხაზით არაფერი აუკრეფიათ.

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ვერ უზრუნველჰყო აგრეთვე ბრუნვიდან გადასახადის აღების გეგმების შესრულება. ბრუნვიდან გადასახადის აკრეფის მესამე კვარტალის გეგმა 10 აგვისტოსათვის ნაცვლად 44,4 პროცენტისა შესრულებულია 39,7 პროცენტით.

განსაკუთრებული ჩამორჩენაა ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის დარგში, სადაც ბრუნვიდან გადასახადის აღების მესამე კვარტალის გეგმა 10 აგვისტოსათვის ნაცვლად 44,4 პროცენტისა შესრულებულია მხოლოდ 31,9 პროცენტით.

ზოგიერთი რაიაღმასკომის საფინანსო განყოფილება აშკარა დანაშაულებრივ გულგრილობას იჩენს და ბრუნვიდან გადასახადის აღების გეგმების შესასრულებლად გადამჭრელ ზომებს არ იღებს. პირველ რიგში ეს ითქმის თელავის რაიონის შესახებ, რომელსაც ბრუნვიდან გადასახადის აკრეფის მესამე კვარტალის გეგმა 10 აგვისტოსათვის ნაცვლად 44,4 პროცენტისა შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 27,3 პროცენტით. ასევე ფორმალურ-ბიუროკრატიულად ეკიდებიან ბრუნვიდან გადასახადის აკრეფას ზუგდიდის, ქუთაისის, ქ. თბილისის და ზოგიერთი სხვ. რაიონები.

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატმა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის XI ყრილობის დადგენილების საფუძველზე უნდა გარდაჰქმნას მუშაობა და თავი დააღწიოს ჩამორჩენას ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმეში.

შ. ტაბატაძე

ლიმონათის ქარხანამ მუშაობა უნდა გააუმჯობესოს

თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს უალკოჰოლო სასმელების ქარხანა წარმოადგენს ერთერთ ბაზას, რომელიც ლიმონათით ამარაგებს თბილისს. უკანასკნელ ხანებში ქარხნის მიერ გამოშვებული ლიმონათის ხარისხი საგრძნობლად დაეცა, გეგმის რაოდენობრივად შესრულებაშიაც ქარხანა სამარცხვინოდ ჩამორჩა.

მიზეზი ქარხნის უთავბოლო ხელმძღვანელობაში უნდა ვეძიოთ. მიმდინარე წლის იანვარში ქარხნის დირექტორად დაინიშნა რ. გ. მელიქოვი. მისი მუშაობა თავიდანვე არადამაკმაყოფილებლად წარიმართა. მუშაობის დაწყებისთანავე იგი შეეცადა მოეხსნა ძველი კვალიფიციური მუშაკები და მათ ადგილზე დაენიშნა „თავისიანნი და პირში გამტანნი“. რამდენიმე დღეში მან სრულიად უდანაშაულოდ მოხსნა ძველი მუშაკები, პარტიის წევრები—მელიქაძე, ფედკო, სტეშენკო, ჯანგირ-ზადე და სხვ. ასე დაიწყო მან პარტიის წევრებისა და კანდიდატების წინააღმდეგ უტაქტო და უპრინციპო ბრძოლა.

მელიქოვმა მთლიანად ჩაშალა ქარხნის მიმდინარე რემონტი. მიცემული გეგმის თანახმად რემონტი უნდა დაწყებულიყო 5 თებერვალს, ხოლო მან რემონტის ჩამტარებელი კომისიის დაარსება ბრძანებაში გააფორმა 28 თებერვალს, ამასთან თვითონვე დაინიშნა თავი რემონტის ჩამტარებლად.

რემონტი 4 თვეს გაჭიანურდა. მიუხედავად იმისა, რომ 45 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა, რემონტის ხარისხი სრულიად უვარგისი აღმოჩნდა. რემონტი ხელმეორედ დაიწყეს და რამდენიმე ათასი მანეთი დახარჯეს, მაგრამ სასურველ ხარისხს დღემდეც ვერ მიაღწიეს. საამშენებლო რემონტის ცუდი ხარისხით ჩატარების გამო, საყინულე საამქრო, რომელიც ყოველდღიურად 16 ტონა ყინულს უშვებდა, დღეს 5 ტონას უშვებს. სახარშავ საამქროში მოუკალავ ქვაბში მოხარშეს 800 კილოგრამი ლიმონის წვენის სიროფი. ანალიზით სიროფში მძიმე ლითონები აღმოჩნდა, რის გამო ის მთლიანად გადასაღვრელი გახდა.

ამ არანორმალური მდგომარეობის გამო ლიმონათის პროდუქციის ხარისხი საგრძნობლად დაეცა. არის შემთხვევები, როდესაც მომხმარებლები უკან აბრუნებენ წუნდებულ პროდუქციას. მაგალითად, 20 ივლისს ქარხანას უკან დაუბრუნეს 60 ათასი ბოთლი დაწუნებული ლიმონათი.

ქარხანაში ადგილი ჰქონდა საკრედიტო რეფორმის დარღვევის შემთხვევებს. ბანკში შეტანილი არ არის 89.028 მანეთი. დირექცია ამ თანხებს თავის სალაროდან ბანკის უნებართოდ ხარჯავდა. ადგილი ჰქონდა სტახანოვური მოძრაობის უგულებელყოფას. მაგალითად, სტახანოველი მუშა ნაზარბეგოვი, რომელიც ქარხანაში 6 წელია მუშაობს და კარგი მუშაობისათვის რამდენჯერმე ყოფილა დაჯილდოებული, 8 ივლისს მოხსნეს როგორც უვარგისი და უდისციპლინო, სტახანოველ მუშას კი დირექტორმა ქურდობა დააბრალა და ამხანაგური სასამართლო მოუწყო. ცილისწამების ასეთი შემთხვევები აქ არა ერთი და ორი იყო.

ქარხანაში ადგილი ჰქონდა შრომის კანონების აღმაშფოთებელ დამახინჯებებს. მუშებს ამუშავებდნენ ორ წყებად და ერთი წყების გასამრჯელოს აძლევდნენ, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა მუშებში. ყოველივე ამის შედეგად ქარხანაში ადგილი ჰქონდა მუშათა ხშირ დენადობას.

პარტიული და არაპარტიულ ბოლშევიკებს შორის მტკიცე კონტაქტის უქონლობის, შრომის ცუდი ორგანიზაციის, სტახანოვური მოძრაობის უგულებელყოფის, სახელმწიფო ქონების განიავებისა და რემონტის ჩაშლის გამო, ქარხანამ წლის პირველი ნახევრის გეგმა მხოლოდ 81 პროცენტით შეასრულა, დაგროვება შეადგენს 182 ათას მანეთს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 282 ათასი მანეთისა.

ლიმონათის ქარხნის არანორმალური მდგომარეობა საფუძვლიანად შეისწავლა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომმა, რომელმაც ამ საკითხზე გამოიტანა შესაფერისი დადგენილება. რაიკომის დადგენილებით მოიხსნა სამუშაოდან ქარხნის დირექტორი მელიქოვი, როგორც უქნარა ადამიანი და უხეირო ხელმძღვანელი. რაიკომის ეს დადგენილება 10 აგვისტოს მოწვეულ კრებაზე ქარხნის მუშებმა ერთსულოვნად მოიწონეს.

ეს არ არის საკმარისი. ქარხანაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია გამოსასწორებელი და საჭიროა ამას მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ილ. უბილავა.

ბეს. ჟღენტი

შევქმნათ ქართული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო

ჩვენი სამშობლო საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ქვეყანაა, რომლის დიადი სტალინური კონსტიტუციის მიხედვით სწავლა წარმოადგენს არა მარტო უფლებას ბედნიერი საბჭოთა ახალგაზრდობისათვის, არამედ მის წმინდა მოვალეობასაც თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის წინაშე.

საბჭოთა ხელისუფლება, ლენინ-სტალინის დიადი პარტია, პირადად ხალხთა გენიალური ბელადი—დიდი სტალინი განუზომელი მზრუნველობით და ყურადღებით ეპყრობიან საბჭოთა სკოლას, რომელიც ზრდის კომუნიზმის შეგნებულ მშენებელთა ახალ მრავალმილიონიან არმიას, აიარაღებს მას კომუნიზმისათვის ბრძოლის იმ უძლიერესი საჭურველით, რომელსაც ცოდნა წარმოადგენს.

მშობლიური ენა და ლიტერატურა ახალგაზრდობის აღზრდის საფუძველია. მოზარდი თაობის გონებრივი ჰორიზონტის სიფართოვე ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად საფუძვლიანად შეითვისებს იგი კლასიკური და თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. დიდია მხატვრული მწერლობის მნიშვნელობა მოზარდი თაობის მსოფლმხედველობის გამომუშავების, მისი ხასიათის ფორმაციის საქმეში.

ამიტომაც მშობლიური ენა და ლიტერატურა დაწყებითი და საშუალო სკოლის ძირითადი სასწავლო საგანია, რომლის სწავლების ხარისხით არ შეიძლება ღრმად არ იყოს დაინტერესებული არა მარტო პედაგოგიური და სამწერლო საზოგადოებრივობა, არამედ მთელი საბჭოთა ხალხიც.

ამავე დროს ლიტერატურის სწავლების საქმეში დღემდე ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომელთა შორის პირველ რიგში ის გარემოება უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სკოლას დღემდე არ გააჩნია ქართული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო, არც მოსწავლეებისათვის, არც მასწავლებლებისათვის არ არსებობს რაიმე სპეციალური ლიტერატურა, რომელიც დაეხმარებოდა მათ ქართული მწერლობის ისტორიის მარქსისტულ - ლენინურად გაგებისა და ათვისების საქმეში.

ცნობილია, რომ სულ ახლო წარსულში ჩვენს სკოლაში, სასწავლო პროგრამებში და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში ფართოდ გავრცელებული იყო ყალბი, ანტიპარტიული მავნებლური „კონცეპცია“ ქართული ლიტერატურის ისტორიისა.

ჯერ კიდევ ამ ორი-სამი წლის წინათ მოქმედებაში იყო განსახკომის მიერ შემუშავებული „პროგრამები“, რომლებიც თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებდნენ და სკოლაში ნერგავდნენ ხალხის, დღეს უკვე გამომჟღავნებული და განადგურებული მტრების მიერ შეთხზულ ცილისმწამებლურ „აზრებს“ ქართული კლასიკური მწერლობის უდიდეს წარმომადგენელთა შესახებ.

შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხის-ტყაოსანი“ ამ „პროგრამების“ მიხედვით აღიარებული იყო „ფეოდალური არისტოკრატიის უმაღლესი სოციალური ფენის იდეოლოგიურ გამოხატულებად“, რომელიც თურმე მხოლოდმხოლოდ „რაინდული ყოფაცხოვრების იდეალიზაციას“, „ბატონყმობისა, მონობისა და კლასობრივი ზავის ქადაგებას“ შეიცავს.

ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ „პროგრამებში“ ვკითხულობთ: „როგორც ფეოდალ-მემამულე პირველ ხანებში ვერ ეგუება თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული რეჟიმის დამკვიდრებას საქართველოში“, შემდეგ კი „როგორც რუსის მოხელე-ბიუროკრატი ეგუება რუსის ტახტს და მასში ჰპოვებს თავისი წოდების გადარჩენის საშუალებას“.

გენიალური ქართველი კლასიკოსი ნიკოლოზ ბარათაშვილი „პროგრამაში“ დახასიათებულია, „როგორც ნიადაგშერყეული ფეოდალური არისტოკრატიის იდეოლოგი. მისი სურვილი პატრიარქალურ ყოფის აღდგენისა, როგორც გამომხატველი ფეოდალური არისტოკრატიის რეაქციისა კაპიტალისტური ურთიერთობის წინააღმდეგ“.

მე-19 საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის სიამაყის, ილია ჭავჭავაძის შესახებ „პროგრამებში“ ვკითხულობთ: „მემამულე ინტელიგენტის თვალსაზრისით აკრიტიკებს ფეოდალურ-სამხედრო არისტოკრატიის საქმიანობას“... „იგი ცდილობს ძველი ცხოვრების ელემენტები შეაზარდოს ახალ საზოგადოებრივ ვითარებას და მისი წამყვანი ხელმძღვანელი როლი მემამულეს შეუნარჩუნოს“.

ეს ფორმულა სიტყვა-სიტყვით განმეორებულია აკაკი წერეთლის მიმართაც შემდეგი „დამატებით“, „საქართველოს წარსულის იდეალიზაცია, როგორც პოეტის ნაციონალისტური ტენდენციის გამოვლინება“.

ეს ამონაწერები საკმაო სიცხადით გვიჩვენებენ, თუ როგორ მავნებლობას ეწეოდნენ სალიტერატურო ორგანიზაციებსა და განათლების სისტემაში მოკალათებული, ვერაგულად შენიღბული დივერსანტები, რომლებიც ცდილობდნენ შეეფერხებინათ საბჭოთა ახალგაზრდობის სწრაფვა კლასიკური მწერლობისადმი, მისდამი ზიზღის და უკმაყოფილების გრძნობა დაენერგათ მოზარდი თაობის შეგნებაში.

ეს გარემოება მოითხოვდა და მოითხოვს ჩვენგან აქტიურ ღონისძიებათა განხორციელებას ამ დარგში მავნებლობის შედეგების სრული ლიკვიდაციისათვის.

განსახკომმა გააუქმა ხსენებული „პროგრამები“ და გასულ წელს გამოაქვეყნა ენისა და ლიტერატურის ახალი პროგრამა, რომელშიაც სავსებით მოხსნილია მწერალთა დახასიათებანი და პირდაპირ დასახელებულია ის მწერლები და ის ნაწარმოებნი, რომლებიც შესწავლილ უნდა იქნან საშუალო სკოლაში. ამ ახალი პროგრამის მიხედვით შედგენილი ქრესტომათიები შეიცავენ პროგრამაში დასახელებულ მასალას, რომელსაც ერთვის მხოლოდ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები შესასწავლ მწერალთა შესახებ.

მაგრამ როგორ უნდა იქნას გაგებული, ახსნილი და შეფასებული პროგრამაში დასახელებული და ქრესტომათიებში მოთავსებული მწერალი და მისი ნაწარმოებები? ამ მხრივ ყოველი მასწავლებელი და მოსწავლე დღემდე საკუთარი ალღოსა და უნარის ანაბარად არის დატოვებული და უნდა ვიფიქროთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში მათ უძნელდებათ დამოუკიდებლად გაერკვნენ ლიტერატურის ისტორიის საკმაოდ რთულ საკითხებში, დამოუკიდებლად შეიმუშაონ სწორი მარქსისტულ - ლენინური თვალსაზრისი ყოველი მწერლისა და ყოველი შესასწავლი ნაწარმოების შესახებ.

აქედან ცხადია, თუ რამდენად აუცილებელია და გადაუდებელი ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნა, რომელშიაც ლენინურ - სტალინური მოძღვრების საფუძველზე უნდა იქნას გაშუქებული ქართული მწერლობის განვითარების მთელი პროცესი, ამ პროცესის ყოველი კერძო მნიშვნელოვანი მოვლენა.

ქართული მწერლობის ისტორიის სახელმძღვანელომ ნათლად უნდა უჩვენოს მოზარდ თაობას, თუ მხატვრულ სიტყვის რა ბრწყინვალე და უჭკნობი ძეგლები შეუქმნია ქართველი ხალხის შემოქმედებითს გენიას, რა დიდი და საპატიო როლი შეუსრულებია ქართულ მწერლობას ჩვენი ხალხის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

სახელმძღვანელომ უნდა გვიჩვენოს, თუ როგორ ახერხებდნენ ჩვენი მწერლობის დიდი კლასიკოსები ამაღლებულიყვნენ მათი წარმომშობი კლასების ინტერესებისა და მსოფლმხედველობის დონეზე მაღლა, გამოეხატათ თავისი ეპოქის უაღრესად პროგრესიული იდეები, ხალხის საუკეთესო აზრები და მისწრაფებანი, დაეჩქარებინათ საზოგადოებრივი ცხოვრების, აზროვნებისა და კულტურის წინსვლა. სახელმძღვანელოში მკაფიოდ უნდა გამოსჭვიოდეს მგზნებარე პატრიოტიზმის, ჰუმანიურობის, გმირობის, ხალხურობის ის სახელოვანი ტრადიციები, რომლებითაც აღბეჭდილია ქართული მწერლობის ისტორია.

ყოველი მწერლის იდეური მიზანდასახულობის, მისი წერის თავისებური მხატვრული სტილის გარჩევისას გარკვეულ უნდა იქნას, თუ რა შეიტანა ამა თუ იმ მწერალმა ახალი და თავისებური ჩვენი მწერლობის განვითარებაში, რაში მდგომარეობს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მნიშვნელობა და ღირებულება ჩვენი სოციალისტური ეპოქისათვის, დიადი საბჭოთა ხალხისათვის.

მხოლოდ ასეთი სახელმძღვანელო დააკმაყოფილებს საბჭოთა სკოლის მოთხოვნილებებს, მხოლოდ ასეთი სახელმძღვანელოს დახმარებით გახდება შესაძლებელი მხატვრული ლიტერატურის ეფექტიურად გამოყენება მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

უდავოა, რომ ასეთი სახელმძღვანელოს შექმნა ადვილი არ არის, მით უფრო, რომ ჯერ კიდევ გაურკვეველი და დაუმუშავებელია არა მარტო ქართული მწერლობის ისტორიის, არამედ თვით საქართველოს საზოგადოებრივი ისტორიის არაერთი პრობლემა.

მაგრამ რაც უფრო ძნელი და საპასუხისმგებლოა ეს საქმე, მით უფრო მეტი აქტივობით უნდა სწარმოებდეს მუშაობა ამ ამოცანის განხორციელებისათვის.

სრულიად გაუგებარი და გაუმართლებელია ის უყურადღებობა, რომელსაც დღემდე ადგილი აქვს ამ საქმის მიმართ. არც განსახკომს, არც სამწერლო საზოგადოებრიობას ჯერჯერობით პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებიათ ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს შესაქმნელად.

მართალია, გასული წლის შემოდგომაზე განსახკომმა გამოაცხადა კონკურსი ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოზე, მაგრამ იმთავითვე ცხადი იყო, რომ ამ ღონისძიებიდან დროის დაკარგვის მეტი არაფერი გამოვიდოდა. აბა ვინ შესძლებდა განცალკევებულად, დამოუკიდებლად დაეწერა ასეთი წიგნი და მზამზარეულად წარედგინა იგი განსახკომისათვის?

ქართული ლიტერატურის ისტორიის ღირსეული სახელმძღვანელოს შექმნა დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეა. იგი მოითხოვს კვალიფიციური პედაგოგების, მწერლებისა და ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტების კოლექტიურ შრომას.

თავდაპირველად სახელმძღვანელოს დაწვრილებითი გეგმა უნდა იქნას განხილული და დამუშავებული სამწერლო და პედაგოგიური საზოგადოებრივობის მიერ. შემდეგ წერის პროცესში წიგნის ყოველი გამზადებული ნაწილი აგრეთვე კოლექტიური განხილვისა და შეფასების საგნად უნდა ვაქციოთ.

განსახკომმა უნდა დააჩქაროს სახელმძღვანელოს დასაწერად კვალიფიციური კოლექტივის ჩამოყალიბება და იგი ყოველმხრივ ხელშემწყობი პირობებით უნდა უზრუნველჰყოს.

მხოლოდ ასეთი მუშაობის შედეგად შევძლებთ მივაწოდოთ ჩვენს საშუალო სკოლას ლიტერატურის ისტორიის დამაკმაყოფილებელი სახელმძღვანელო.

ეს საქმე დაყოვნებას არ ითმენს.

◆

ესპანეთის ხალხის გმირული ბრძოლა ინტერვენტების წინააღმდეგ

ხესუს ერნანდესის მოწოდება

პარიზი, 14 აგვისტო (საკდესი). ესპანის სააგენტო იუწყება, რომ კატალონიის გარეშე ზონის არმიის სამხედრო კომისარმა ხესუს ერნანდესმა, რომელიც ამჟამად ესტრემადურის ფრონტზე იმყოფება, შემდეგი მოწოდებით მიმართა მეთაურებსა და მებრძოლებს: „ესტრემადურის ჯარისკაცნო, მოაწყვეთ ისე, რომ ჩვენი ფრონტი მეორე ლევანტი გახდეს ჰიტლერისა და მუსოლინის არმიებისათვის. ლევანტის ფრონტიდან უკუქცეული მოწინააღმდეგე გვიტევს ესტრემადურის ფრონტზე, მაგრამ ტყუილად ეძებს მოწინააღმდეგე ჩვენს სუსტ პუნქტებს. რესპუბლიკელთა ჯარი თავისი გმირული წინააღმდეგობის გაწევით, მოწინააღმდეგეს წინ აღუმართავს ისეთ კედელს, რომელზედაც ყველა მათი იერიში დაიმსხვრევა“.

ფაშისტთა ხელმძღვანელები მოითხოვენ მობილიზაციის გამოცხადებას ესპანეთის მაროკოში

პარიზი, 14 აგვისტო (საკდესი). ესპანის სააგენტო იუწყება, რომ ესპანეთის მაროკოს უმაღლესმა კომისარმა — ფაშისტური გერმანიის აგენტმა ბეიგბედერმა გერმანიის ტექნიკურ მრჩეველთა ინიციატივით გადაწყვეტილება მიიღო მოსთხოვოს ესპანეთის მაროკოს ხალიფს გამოაცხადოს მობილიზაცია ყველა მაროკოელისა, რომელსაც იარაღის ტარების უნარი აქვს. ჰფიქრობენ, რომ ეს ღონისძიება არის იმ მწვავე სიძნელეთა შედეგი, რომლებსაც ხვდებიან ესპანელ ფაშისტ მეამბოხეთა ხელისუფალნი მაროკოელთა არმიაში გაწვევის დროს.

მეამბოხეებისა და ინტერვენტების დანაკლისი

პარიზი, 14 აგვისტო (საკდესი). ესპანის სააგენტო იუწყება, რომ ესპანელ მეამბოხეთა და იტალიელ-გერმანელ ინტერვენტთა ზარალი უკანასკნელი დღეების ბრძოლაში, განსაკუთრებით დიდია. ლევანტისა და ებროს ფრონტიდან ყოველ-დღე იგზავნება რამდენიმე მატარებელი ფაშისტთა ჯარის დაჭრილი ჯარისკაცებით. ბურგოსის, სევილიას, ვალიადოლიდოს და ესპანეთის ფაშისტური ზონის სხვა ქალაქების ჰოსპიტლებში ადგილი აღარ არის დაჭრილებისათვის, რომელთა რაოდენობაც განუწყვეტლივ იზრდება.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობებით)

აღმოსავლეთის ფრონტი

თანახმად ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს 13 აგვისტოს ოფიციალური ცნობისა, რესპუბლიკელთა ჯარებმა მთლიანად მოიგერიეს მოწინააღმდეგის შეტევები რესპუბლიკელთა პოზიციებზე სეგრეს მარჯვენა ნაპირთან. ინტერვენტებმა და მეამბოხეებმა დიდი ზარალი ნახეს.

ებროს სექტორში ინტერვენტები განაგრძობდნენ იერიშების მიტანას რესპუბლიკელთა პოზიციებზე, პანდოლის მთასთან, რაც მათ ძვირად დაუჯდათ. ტანკების, ავიაციისა და არტილერიის დახმარებით მოწინააღმდეგემ ის იყო მოახერხა სიმაღლე 671-ის დაკავება, მაგრამ მალე რესპუბლიკელთა ჯარებმა უკუაქციეს ინტერვენტები ამ სიმაღლიდან და ხელში ჩაიგდეს დიძალი სამხედრო მასალა და ტყვეები.

მთელი დღის განმავლობაში რესპუბლიკელთა ავიაცია დაფრინავდა აღმოსავლეთის ფრონტზე და უკუაქცევდა ინტერვენტთა თვითმფრინავებს.

ცენტრალური ფრონტი

ფრონტის ესტრემადურის უბანში ინტერვენტებმა შესძლეს კაბესუელისა და სესტეროსის წვეროების დაკავება ტოროსის მთის სექტორში (კაბეს დელ ბუეიდან ჩრდილოეთ აღმოსავლეთით). მოწინააღმდეგის იერიშები ლას ვაკასის წვეროზე რესპუბლიკელთა ჯარმა მოიგერია. ინტერვენტებმა დიდი ზარალი ნახეს. სან სიმონის მაღლობებზე და ალიას სამხრეთით შეუპოვარი ბრძოლა სწარმოებს.

მოწინააღმდეგის პოზიციისათვის ტყვიამფრქვევის დაშენის დროს რესპუბლიკელთა თვითმფრინავებიდან, ამ უკანასკნელებზე იერიში მოიტანა 26 „ფიატმა“. გაჩაღდა ბრძოლა, რის შედეგადაც რესპუბლიკელებმა ორი „ფიატი“ ჩამოაგდეს და თვითონ კი ერთი განმანადგურებელი დაჰკარგეს.

სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

O

ესპანის სააგენტო აჯამებს რა წარსული კვირის (6-დან 13 აგვისტომდე) სამხედრო მოქმედებას, აღნიშნავს, რომ ფართო ფრონტზე, რომელიც გაჭიმულია ტერუელიდან პირენეებამდე, მეამბოხეთა შემტევი ძალები დაძლეულია იმის გამო, რომ რესპუბლიკელთა ჯარმა კარგად მოამზადა და სწორად განახორციელა თავისი ოპერაციები, ინიციატივის მუდამ თავის ხელში შენარჩუნებით.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ხანკოუელი და ლონდონელი კორესპონდენტების ცნობით)

ცენტრალურ ჩინეთში

მდინარე იანძის ფრონტზე იაპონიის ჯარი ცდილობს წინ წაიწიოს ძიუძიანის ზევით. რაოდენობა იაპონელთა ჯარისა რომელიც 10 აგვისტოს გადასხეს განკოუში (14 კილომეტრის მანძილზე ძიუძიანის დასავლეთით), მატულობს იმ ახალი დამხმარე ძალების ხარჯზე, რომლებიც ამ რაიონში იაპონიის სარდლობის მიერ იგზავნება. 12 აგვისტოს იაპონიის ჯარის საერთო რაოდენობა, რომელიც განკოუში გადასხეს, 2 ათას კაცს აღემატებოდა. იაპონელებმა მნიშვნელოვანი დამხმარე ძალები მიიღეს, მაგრამ ისინი მაინც უშედეგოდ ცდილობდნენ წინ წაეწიათ. ისინი მოიგერია ჩინელთა ჯარმა და დღის განმავლობაში მდგომარეობა უცვლელი იყო. განკოუში გადმოსხმული დესანტის დასახმარებლად მივიდა ოთხი მცირე და ერთი დიდი სამხედრო გემი. ჩინეთის სანაპირო არტილერიის ინტენსიურმა ცეცხლმა იაპონელთა გემები გარეკა.

12 აგვისტოს იაპონელთა 150 თვითმფრინავი თავს დაესხა ხანკოუს. ქალაქის ბარბაროსული ბომბარდირების შედეგად მოკლულია 500 კაცი. ეს თავდასხმა ხანკოუზე ყველაზე დიდ თავდასხმას წარმოადგენს. 13 აგვისტოს, ღამით, იაპონელთა 18 თვითმფრინავმა განიმეორა ხანკოუს ბომბარდირება. 40-ზე მეტი ყუმბარა ჩამოაგდეს აეროდრომის რაიონში. მაგრამ სერიოზულ ნგრევას ადგილი არ ჰქონია. მიუხედავად სიბნელისა, ჩინეთის საზენიტო არტილერიამ სროლა აუტეხა იაპონიის თვითმფრინავებს.

გერმანიის პარპაში ავსტრიაში

ჟენევა, 14 აგვისტო (საკდესი). გერმანიის მძიმე მრეწველობა განაგრძობს ავსტრიის სახალხო მეურნეობის სათანადო დარგების ხელში ჩაგდებას. როგორც „ნეიე ციურიხერ ცაიტუნგის“ ვენელი კორესპონდენტი იტყობინება, გერმან გერინგის ქარხნების გერმანულმა გაერთიანებამ „შეიძინა“ შტირიაში დაიმერის საავტომობილო ქარხნები და აგრეთვე შტირიის ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნები. სამთო-მეტალურგიულმა საზოგადოებამ ეისლებენში (საქსონია) „შეიძინა“ სპილენძის მაღაროები მიტერბერგში (ზალცბურგი), კონცერნმა „ჰუგო სტინესმა“ შექმნა სპეციალური ფილიალი ვენაში საწყლო გზის „რაინ-მაინ-დუნაის“ განვითარებაში მონაწილეობის მისაღებად.

ჩეხოსლოვაკიის მინისტრების თათბირი

პრაღა, 14 აგვისტო (საკდესი). გუშინ მთავრობისათვის მოხსენების გასაკეთებლად გამოწვეულ ჩეხოსლოვაკიის ელჩს ბერლინში მასტნის ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა საგარეო საქმეთა მინისტრ კროფტასთან და პრემიერ გოჯასთან, რის შემდეგაც მან, კროფტას თანდასწრებით, მოხსენება გაუკეთა რესპუბლიკის პრეზიდენტს ბენეშს გერმანია-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობის შესახებ.

გერმანიის საომარი მზადება

ჟენევა, 14 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „ტრავაი“ იუწყება, რომ გერმანიის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში შემჩნეულია სულ უფრო-დაუფრო გაძლიერებული სამხედრო აქტივობა. 11 აგვისტოს ღამით მოტორიზებული ჯარის დიდი შენაერთები ბადენის სამხრეთ ნაწილში გაემართნენ. ბრეგენცისა და ინსბრუკის რაიონში ჯარის გაცხოველებული გადაჯგუფება სწარმოებს.

იაპონელთა „პასუხი“ თურქეთის ნოტაზე

სტამბოლი, 13 აგვისტო (საკდესი). ანატოლიის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ იაპონიის მრჩეველი ანკარაში ეწვია თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმ მიზნით, რომ „ახსნა-განმარტება“ მიეცა თურქეთის ნოტაში დასმულ კითხვებზე იაპონელი დიპლომატების კონფერენციის შესახებ სტამბოლში.

იაპონიის მრჩეველმა განაცხადა, რომ ამ კონფერენციას „სავსებით კერძო ხასიათი ჰქონდა და იგი არავითარ პოლიტიკურ ან ეკონომიურ მიზნებს არ ისახავს“.

მაგრამ დიპლომატიურ წრეებში აღნიშნავენ, იაპონიის მრჩევლის „ახსნა-განმარტება“ არ ეთანხმება იაპონიის თურქეთელი ელჩის ტაკეტომის ამასწინანდელ განცხადებას, რომელიც ლაპარაკობდა ამ კონფერენციის „ეკონომიური ხასიათის“ შესახებ.

გერმანიის თვითმფრინავი ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე

პრაღა, 14 აგვისტო (საკდესი). გერმანელ თვითმფრინავთა მიერ ჩეხოსლოვაკიის საზღვრებზე გადაფრენა ამ უკანასკნელ დროს ყოველდღიურ მოვლენად გადაიქცა. 13 აგვისტოს, დილის 10 საათზე, გერმანიის სამხედრო თვითმფრინავი საზღვარზე გადაფრინდა ქალაქ ტახოვის ახლოს (დასავლეთი ჩეხეთი) და დაახლოებით ორი საათის განმავლობაში თავს დასტრიალებდა მოსაზღვრე რაიონის დასახლებულ პუნქტებს. თვითმფრინავი დაფრინავდა ხუთასი მეტრის სიმაღლეზე.

გერმანიის „აკრძალული ზონები“ პოლონეთის საზღვრის გასწვრივ

ვარშავა, 14 აგვისტო (საკდესი). „რობოტნიკ“ ყურადღებას აქცევს პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს მუშაობის მეტად დამახასიათებელ მეთოდს. ამ ცოტა ხნის წინათ ამ სააგენტომ მოათავსა პარიზიდან მიღებული ცნობა გერმანიის დასავლეთ საზღვარზე არსებული ახალი „აკრძალული ზონების“ შესახებ. ეს ცნობა, როგორც „რობოტნიკი“ ამტკიცებს, დაფუძნებული იყო ფრანგული გაზეთის „ტანის“ ინფორმაციაზე, რომელიც მიუთითებდა, რომ „აკრძალული ზონები“ შემოღებულია გერმანიაში აგრეთვე პოლონეთის მეზობლად, ე. ი. გერმანიის აღმოსავლეთ საზღვარზე. ეს „წვრილმანი“ მაინც არ მიუყვანია პოლონეთის სააგენტოს პოლონეთის საზოგადოებრივი აზრის ცნობამდე.

უცხოეთის ქრონიკა

- ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ 14 აგვისტოს თვითმფრინავიდან გადმოხტომის დროს დაიღუპა მსოფლიო რეკორდსმენი, პარაშუტისტი ჯემს ვილიამსი. პარაშუტისტი დაიღუპა იმის გამო, რომ მისი პარაშუტი არ გაიხსნა.
- ნიუ-იორკში მუშაობა დაიწყო წარმომადგენელთა პალატის კომისიამ, რომელიც არკვევს გერმანელ ფაშისტთა მოქმედებას ა. შ. შტატებში.
- უკანასკნელ ხანებში ინდოეთში შესამჩნევად გაძლიერდა ხელისუფალთა რეპრესიები იმ მოღვაწეთა და ორგანიზაციათა წინააღმდეგ, რომელნიც იბრძვიან ინდოეთის ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის.
- ინგლისის იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც საბჭოთა კავშირში მოემგზავრება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 21 წლისთავზე, შევლენ გლაზგოსა და ედინბურგის პროფკავშირთა წარმომადგენლებიც.



ბორჯომი.—საქ. განათლების სახალხო კომისარიატის სასპორტო სკოლის ველოსიპედისტთა შეკრების მონაწილენი ემზადებიან სრულიად-საქართველოს შეჯიბრებისათვის. ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტო“)

სპეციალური მატარებლები ავიაციის დღისათვის

ავიაციის დღის ზეიმზე მშრომელთა გადაყვანის უკეთ მოწყობისათვის ა.-კ. რკინიგზის სამმართველომ 18 აგვისტოსათვის დანიშნა სპეციალური მატარებლები თბილისსა და აეროპორტს შორის.

პირველი მატარებელი № 107 თბილისიდან გავა დილის 8 საათსა და 26 წუთზე ადგილობრივი დროით. მეორე მატარებელი № 109 — 9 საათსა და 35 წუთზე, ხოლო მესამე მატარებელი № 119 — 1 საათსა და 13 წუთზე.

აეროპორტიდან პირველი მატარებელი № 107 გამოვა ნაშუადღევის 3 საათსა და 28 წუთზე, მეორე მატარებელი № 109—5 საათსა და 13 წუთზე, ხოლო მესამე მატარებელი № 119—6 საათსა და 14 წუთზე.

აეროპორტზე მატარებლები გაჩერდება 5 წუთს.

რკინიგზის სამმართველომ გადასწყვიტა ამ მატარებლებისათვის სამგზავრო ბილეთების გაყიდვა რკინიგზის ქალაქის სადგურებში დაიწყოს 16 აგვისტოდან, ხოლო ვაგზალში 17 აგვისტოდან. ერთი და იგივე სამგზავრო ბილეთი გამოდგება როგორც თბილისიდან გასამგზავრებლად ისე უკან დასაბრუნებლად.

სასკოლო ბაზრობა

საქართველოს სს რესპუბლიკაში 25 აგვისტოს გაიხსნება სასკოლო ბაზრები. ბაზრების მოწყობაში თბილისში მონაწილეობას მიიღებენ სახელგამი, თბილვაჭრობა, კავშირუნივერმაღი, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, „ფედერაცია“ და სამხედრო ვაჭრობა, ხოლო რესპუბლიკის რაიონებში — საქვაჭრობა. აჭარვაჭრობა, აფხაზვაჭრობა და სამხედრო ვაჭრობა.

ამ ორგანიზაციების ყველა მაღაზიაში გამოყოფილია სპეციალური განყოფილებანი სასწავლო ნივთების საცალო ვაჭრობისათვის.

თბილვაჭრობის სამრეწველო მაღაზიების ქსელში გადიდდება ფეხსაცმელის, ტანსაცმელის, ტრიკოტაჟისა და სხვა საქონლის ასორტიმენტი სპეციალურად სასკოლო ასაკის ბავშვთათვის.

ვაჭრობის სახ. კომისარიატს ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის ფაქტიურად აქვს შემდეგი მარაგი: 4.120 ათასი სამოსწავლო, 210 ათასი საერთო და 115 ათასი სახატავი რვეულები, 27 ათასი კალოფი კალამი, 2.800 ათასი შავი და ფერადი ფანქარი, 2.700 კილოგრამი საშლელი რეზინი და სხვ.

სასკოლო ბაზრობა 10 სექტემბრამდე გაგრძელდება.

O

ამ სასკოლო ბაზრების გახსნამდე 26 კომუნარის სახელობის ბაღში 20 აგვისტოდან პირველად მოეწყობა დიდი სპეციალური ბაზრობა, სადაც გაიყიდება სამრეწველო-საქონლის, საგაზაფხულო და საზაფხულო ასორტიმენტის ნაშთი, გალანტერია, პარფიუმერია, ტრიკოტაჟი, საკანდიტრო საქონელი, ბოსტნეული და ხილი. აქ ფართოდ გაიშლება აგრეთვე ვაჭრობა სასკოლო-საკანცელარიო საგნებით და სათამაშოებით.

ბაღში მოეწყობა 30 ფარდული მაინც. (საქდესი).

პროფესორები ს. ა. ულიანოვი და ლ. ე. სოლოვიოვი თბილისში

ინჟინერ-ტექნიკოსთა და სამეურნეო მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების თბილისის ინსტიტუტმა, ელექტრიკოს ინჟინერთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მოსკოვიდან მოიწვია პროფესორები ს. ა. ულიანოვი და ლ. ე. სოლოვიოვი.

პროფესორები თბილისში ყოფნის დროს წაიკითხავენ ლექციებს შემდეგ თემებზე: „მოკლე ჩართვის დენები“ და „რელეებით დაცვა“.

კატასტროფა ელბაქიძის დაღმართზე

15 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, ელბაქიძის დაღმართისა და ახალი სანაპირო ქუჩის გზაჯვარედინზე მოხდა კატასტროფა. „საქავტოტრესტის“ ავტობუსი № 1267, რომელსაც მართავდა შოფერი რ. ი. პუტნი, დაეჯახა შინსახკომის მსუბუქ მანქანას № 3190 (შოფერი ქ. ე. ტოგონიძე). დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ავტობუსი გადაყირავდა, ხოლო მსუბუქ მანქანას შუა კარი და საფეხური დაემტვრა. როგორც ირკვევა, დაჯახება მოხდა ქუჩაში მოძრაობის წესების უხეში დარღვევის გამო. შოფერმა პუტნიმ დაღმართზე თავბრუდამხვევი სიჩქარე განავითარა, არ მიაქცია ყურადღება მოძრაობის ნიშანს, რომელიც მას ახალი სანაპირო ქუჩის გადაჭრას უკრძალავდა და ამ ქუჩაზე მიმავალ მსუბუქ მანქანას დაეჯახა. დაჯახების შედეგად დაშავდა 19 კაცი, მათ შორის მძიმედ—4, რომლებიც მოთავსებული არიან საავადმყოფოში. დანარჩენი 15 მგზავრი ადგილზე სასწრაფო დახმარების შემდეგ შინ წავიდა.

შოფერი რ. ი. პუტნი დაპატიმრებულია. კვლევა-ძიება სწარმოებს. (საქდესი).

ნ. შიუკაშვილის ხსოვნას

(ტელეგრაფით მოსკოვიდან)

ქართულ თეატრთან ერთად ვწუხვართ თვალსაჩინო დრამატურგ ნ. შიუკაშვილის გარდაცვალებას, მან დასაფასებელი განძი შეიტანა საბჭოთა დრამატურგიაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები

შალვა დადიანი,
აკაკი ხორავა.

ნ. შიუკაშვილის დაკრძალვის შესახებ

დრამატურგ ნ. შიუკაშვილის გარდაცვალების გამო საქ. ხელოვნების საქმეთა სამმართველომ გამოჰყო დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: პ. კანდელაკი (თავმჯდომარე), ა. ვასაძე, შ. ღამბაშიძე, ს. ეული, ბ. ჟღენტი.

განსვენებულის ცხედრის დაკრძალვა მოხდება 17 აგვისტოს ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ხელოვნების მუშაკთა სახლიდან (მახარაძის ქ. № 8) 4-ნახევარ საათზე.

მენჯი

კურორტ მენჯში, რომელიც ქალაქ ცხაკაიადან სამი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, სეზონი მეტად გაცხოველებით მიმდინარეობს. ამჟამად აქ 300-მდე ავადმყოფი მკურნალობს.

კურორტ მენჯისა და მისი სამკურნალო მინერალური (გოგირდ - წყალბადოვანი) წყლების თვისებები ძველთაგანვე ცნობილი იყო, მაგრამ წყლების პრაქტიკული შესწავლა და დიდი მშენებლობა კურორტზე მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში გაიშალა.

ამ კურორტს „ქართულ მაცესტას“ ეძახიან. და ეს შემთხვევითი როდია. მრავალგზის ჩატარებულმა ანალიზებმა გვიჩვენა, რომ მენჯის მინერალური წყლები თითქმის სავსებით იგივეა, რაც მაცესტის წყლები.

ამჟამად მენჯში დიდი მშენებლობა მიმდინარეობს. აგებენ ახალ საბაზანო შენობას 30 აბაზანით. საფუძვლიანად შეკეთებულია ძველი საბაზანო შენობა, რომლის გამტარუნარიანობაც დღეში 1.100 ავადმყოფს უდრის. შენდება პოლიკლინიკა. ეწყობა კანალიზაცია. მიმდინარე წელს დამთავრდება წყალსადენის მშენებლობა.

უკვე აგებული და მოწყობილია საკურორტო სასტუმროს დიდი სამსართულიანი შენობა. ამჟამად მთავრდება სამზადისი სასტუმროს ექსპლოატაციაში გადასაცემად.

მენჯის წყაროების დღე-ღამის დებეტი 335.000 ლიტრს აღწევს. ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების შედეგად წყლის დებეტი უკვე უახლოეს წლებში განზრახულია აყვანილ იქნას 750.000 ლიტრამდე. ათასობით ავადმყოფები ჩამოდიან ყოველწლიურად მენჯში. ბევრი ავადმყოფი ჩამოდის აქ სხვა რესპუბლიკებიდანაც.

O

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით კურორტი მენჯი რესპუბლიკის საკურორტო სამმართველოს გადაეცა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამმართველოს და საკურორტო ადმინისტრაციამ ჯერ კიდევ ვერ მოაწესრიგეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება და ავადმყოფების მკურნალობა კურორტზე. კურორტს ჯერაც არა ჰყავს ექიმი-ბალნეოლოგი. ცუდად არის დაყენებული სასადილოს მუშაობა. არ სწარმოებს კულტურულ-განმანათლებელი და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა.

ეს ნაკლოვანებანი სრულიად შეუწყნარებელია ახალგაზრდა კურორტის მუშაობაში, რომელიც უახლოეს მომავალში უსათუოდ საკავშირო მნიშვნელობის კურორტად გადაიქცევა. (საქდესი).

ამინდი

14 აგვისტოს დასავლეთ საქართველოში იყო ცვალებადი მოღრუბლულობა, ჰქროდა სუსტი ქარი. ყველაზე დაბალი ტემპერატურა (25 გრადუსი) აღნიშნული იყო მესტიაში, ყველაზე მაღალი (31 გრადუსი)—სამტრედიაში.

აღმოსავლეთ საქართველოში უმეტესად იყო მშრალი ამინდი, მცირე ცვალებადი მოღრუბლულობით. ჰქროდა სუსტი ქარი. ყველაზე დაბალი ტემპერატურა (19 გრადუსი) აღნიშნული იყო ყაზბეგში, ყველაზე მაღალი (34 გრადუსი)—ყარაიაში. თბილისში ტემპერატურა 32 გრადუსი იყო.

16 აგვისტოს თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლული ამინდი, სიმშრალე, სუსტი ქარი, ტემპერატურა 19 გრადუსიდან ღამით 31 გრადუსამდე დღისით.

ახალი წიგნები

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა ოვანეს თუმანიანის „ზღაპრები“, თარგმანი ივ. ბეგლაროვისა. წიგნს დართული აქვს [illegible] მელიქსეთ-ბეგისა და მთარგმნელის შესავალი წერილები.

O

სახელგამმა ქართულ ენაზე გამოსაცემად დაამზადა მადათ პეტროსიანის მოთხრობები, რომლებიც თარგმნილია ლ. კარაპეტიანის მიერ. წიგნი გამოვა ივ. ბეგლაროვის რედაქტორობით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით.

ფეხბურთი

„სსრკ თასის“ გათამაშება

14 აგვისტოს მოსკოვში ჩატარდა მორიგი შეჯიბრება „სსრკ თასის“ გათამაშებაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „ტორპედო“ და „სტალინეცი“ (დუბლიორები). შეჯიბრება დამთავრდა „ტორპედოს“ გამარჯვებით—ანგარიშით 1:0.

O

ამავე დღეს ჩატარებული შეჯიბრება „სსრკ თასის“ გათამაშებაზე ფეხბურთში ოდესის „დინამოსა“ და მოსკოვის „პიშჩევიკის“ ოსტატ ფეხბურთელთა შორის დამთავრდა დინამოელების გამარჯვებით—ანგარიშით 2:1.

O

ყრუ-მუნჯი ფეხბურთელები

13 აგვისტოს თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა საქართველოს ყრუ - მუნჯთა საზოგადოებასთან არსებული ფეხბურთელთა გუნდი. გუნდში ყველა ყრუ-მუნჯია. კაპიტანია დ. ჩიტაიშვილი.

აღნიშნული გუნდი მოსკოვში შეხვდება ყრუ-მუნჯთა იქაური საზოგადოების გუნდებს. ყრუ-მუნჯი ფეხბურთელები დაათვალიერებენ მოსკოვის ღირსშესანიშნავ ადგილებს, გაეცნობიან მოსკოვის ყრუ-მუნჯთა ცხოვრებას, ყრუ-მუნჯთა საწარმოებს, რის შემდეგ დაბრუნდებიან თბილისში.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

16 აგვისტოს

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — ინდივიდუალური კონსულტაცია ქართულ ენაზე. კონსულტანტი—ამხ. შ. ჯაფარიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — ლექცია თემაზე: მოკავშირე და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების შედეგები. რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. ეორიკაშვილი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საერთაშორისო პოლიტიკის კაბინეტი — ლექცია თემაზე: ჰიტლერული ფაშიზმი—ახალი მსოფლიო ომის მთავარი გამჩაღებელი. რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. ი. რუხაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

O

16 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის, ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში პარტკომიტეტების მდივნების, პარტორგების, მათი მოადგილეების და აგიტატორებისათვის შესდგება ამხ. ლუდვიგოვის მოხსენება რუსულ ენაზე, თემა: რსდმპ მეორე ყრილობის 35 წლისთავი.

O

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1530176, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მიერ ანდრია არტემის-ძე პაპიაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი.

„კომუნისტის“ რედაქციასთან არსებული
ძირეული პრესის მუშაკთა კურსების
მსმენელთა მორიგი მეცადინეობა შესდგება რედაქციის შენობაში
(რუსთაველის პროსპ. № 16)
ხვალ, 17 აგვისტოს, საღ. 8 ს.
მსმენელებს ვთხოვთ გამოცხადდნენ დაუგვიანებლივ.

საქფილგთის საზაფხულო
თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50
სტალინგრადის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები
16 აგვისტოს ტალონი № 77 მუნდირის ღირსება
17 აგვისტოს ტალონი № 78 ჰოლანდიელი ქალი
18 აგვისტოს ტალონი № 79 ქორწილი მალინოვკაში
დასაწყისი სრულ 9 ს. 15 წ.
დაიწყო მუდმივი ადგილების მესამე გადასახადის მიღება.

ღია ესტრადა
16, 17 და 18 აგვისტოს
სომხეთის სსრ რადიოკომიტეტის ხალხური საკრავების ანსამბლის საღამოები
ა. მერანგულიანის
ხელმძღვანელობით.
დაწვრილებით აფიშებში.
დასაწყისი საღ. 10 საათზე.
ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.

განცხადებების მიღება
გაზეთებში:
„კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „მუშა“,
„პროლეტარი“ და „ენი-კენდი“
სწარმოებს
დილის 9 საათიდან 2½ საათამდე
„კომუნისტის“ გამომცემლობაში რუსთაველის პროსპ. № 34.

კურორტ წყალტუბოს დირექცია
სცვლის ტონა-ნახევრიან მანქანას პიკაპზე.
ყოველგვარი პირობის გაგება შეიძლება კურორტის დირექციაში. 18707

თმის მკურნალობისა და კოსმეტიკის კაბინეტი ექიმ ნ. გ. კონტოროვიჩისა
გადავიდა
ელბაქიძის დაღმართზე (ყოფ. ვერის დაღმ.) № 21. მიღება 12-დან 3-მდე და საღ. 6-დან 8 საათამდე.
კაბინეტი მკურნალობს ძიძიბებს, ფერისმჭამელას, ჭორფლს, ტალებს, ნაოჭებს, კანის სიმშრალეს, თმის დაცვენას, ქერტლს, სპობს მეჭეჭებს, ხალებს, ნაჭრილობევს და სახისა და თავის კანის სხვა ნაკლს. 77431

საქართველოს სსრ ჯანსახკომის თბილისის სამედიცინო და საბაგო დების № 1 სკოლაში

მიღების პირობები 1938-39 სასწ. წლისათვის

თბილისის სამედიცინო და საბაგო დების № 1 სკოლა არის სახელმწიფო საშუალო სამედიცინო სასწავლებელი, რომელიც ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის მედპერსონალს (ექიმის თანაშემწეებს). სწავლების ხანგრძლივობა—2 წელიწადი.

1. სკოლას აქვს ორი განყოფილება: ა) სამედიცინო და ბ) ბავშვთა ბაგების.
2. სკოლაში მიიღებიან მხოლოდ ქალები 15-დან 35 წლამდე.
3. სკოლაში შემსვლელებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე პირადად, ან გადმოგზავნონ ფოსტით შემდეგი მისამართით: თბილისი, შაუმიანის ქუჩა № 23, მე-86 სრული საშუალო სკოლის შენობა, მესამე სართული, სამედიცინო და საბაგო დების № 1 სკოლა.
4. განცხადებასთან დართულ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: ა) არასრული საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა (აუცილებლად დედანი), ბ) დაბადების, გ) ჯანმრთელობის მოწმობა, დ) 2 ფოტოგრაფიული სურათი შემსვლელის ხელისმოწერით და სახელმწიფო დაწესებულების მიერ დამოწმებული.
5. სკოლაში შემსვლელთათვის დაწესებულია მისაღები გამოცდები: ა) მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), ბ) მათემატიკაში (წერა და ზეპირი), გ) ფიზიკაში, დ) გეოგრაფიაში და ვ) პოლიტცოდნაში არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით.

შენიშვნა: არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები და სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული პირები სკოლაში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

6. მიღებულ მოწაფეთა 60%-ს დაენიშნება სტიპენდია მათი აკადემიური წარმატების მიხედვით.
7. სამედიცინო და საბაგო დების სკოლის კურსდამთავრებულთ. საერთო წესის საფუძველზე, ენიჭებათ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება.
8. განცხადებების მიღება სწარმოებს ყოველდღე საღამოს 6 საათიდან, გამოცდები კი 15 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.
9. მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში დამთავრდება 25 აგვისტოს. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

სამედიცინო და საბაგო დების № 1 სკოლის
დირექტორი ექ. ალ. კერესელიძე.

1767

საკავშირო მინსახკომის თბილისის ვეტერინარული ტექნიკუმი

მომავალი 1938/39 სასწავლო წლისათვის **აცხადებს მოწაფეთა მიღებას ქართულ და რუსულ სექტორებზე.** ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის სავეტერინარო მუშაკებს — ვეტექიმის თანაშემწის წოდების მინიჭებით. სწავლის ხანგრძლივობა 4 წელი. ტექნიკუმში მიიღებიან ყველა მოქალაქენი ორივე სქესისა წლოვანებით 15-დან 30 წლამდე, რომლებსაც ექნებათ მომზადება არანაკლებ არასრული საშუალო სკოლისა და რომლებიც ჩააბარებენ სათანადო გამოცდებს არასრული საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში.

განცხადებების მიღება 18 აგვისტომდე ტექნიკუმის დირექტორის სახელზე. განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რომელ სექტორზე (ქართულზე თუ რუსულზე) სურს შესვლა.

განცხადებასთან დართულ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: 1. მოწმობა (უეჭველად დედანი) არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ, 2. ცნობა სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულებიდან იმის შესახებ, რომ შემომსვლელი არ არის დაავადებული ისეთი ავადმყოფობით, რომელიც ხელს შეუშლის ტექნიკუმში სპეციალობის შესწავლაში, 3. მეტრიკული ამონაწერი დაბადების შესახებ და 4. ორი ფოტოგრაფიული სურათი (უქუდოდ) შემომსვლელის საკუთარი ხელის მოწერით, შემოწმებული სახელმწიფო დაწესებულების მიერ.

პირადად გამოცხადებისას წარმოდგენილ უნდა იქნას პასპორტი. მისაღები გამოცდები იწარმოებს 19-დან 28 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი), 2. რუსულ ენაში (წერითი და ზეპირი), 3. მათემატიკაში (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია — წერითი და ზეპირი), 4. ფიზიკაში, 5. ფიზიკურ გეოგრაფიაში და 6. ს. ს. რ. კ. კონსტიტუციაში.

1938 წელს არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომელთაც ზემოაღნიშნულ საგნებში აქვთ შეფასება „ფრიადი“, ტექნიკუმში მიღებული იქნებიან უგამოცდოდ.

ტექნიკუმში ჩარიცხულებმა სასწავლებლად გამოცხადებისას თან უნდა მოიტანონ ლოგინი და აგრეთვე თითო წყვილი ლოგინის თეთრეული (ბალიშის პირი და ზეწარი).

ტექნიკუმში ჩარიცხულთა 85 პროც. უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო სტიპენდიით და აგრეთვე საერთო საცხოვრებლით საერთო საფუძველზე.

ვეტტექნიკუმის მისამართი: თბილისი, ზემო ვაკე.

თბილისის ვეტტექნიკუმის დირექტორი ა. სვანიძე.

1768

ხელოვნების საქმეთა სამმართველო მწუხარებით იუწყება დამსახურებულ მოღვაწის დრამატურგ
ნიკოლოზ ივანეს-ძე შიუკაშვილის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8) 16 აგვისტოს, საღ. 7 ს. გამოსვენება 17 აგვისტოს 4½ ს. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე, მწერალთა პანთეონში. 18740

საქართველოს საბჭოთა მწერლების დრამატურგთა სექცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი დრამატურგი
ნიკო შიუკაშვილი
სამოქალაქო პანაშვიდი 16 აგვისტოს, საღ. 7 ს. ხელოვანთა კლუბში (მახარაძის, № 8). გამოსვენება 17 აგვისტოს, 4½ ს. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე, მწერალთა პანთეონში. 18737

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა მწერალი-დრამატურგი
ნიკო შიუკაშვილი
სამოქალაქო პანაშვიდი 16 აგვისტოს, საღ. 7 ს. ხელოვანთა კლუბში (მახარაძის, № 8). გამოსვენება 17 აგვისტოს, 4½ ს. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე, მწერალთა პანთეონში. 18736

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40.
მშრომელთა წერილების—3—73—24; პ-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ლ. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ., № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—1425